პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი № 269 (10045) | შაბათი, 13 ნოემბერი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ღ ე ს ნ ო მ ე რ შ ი ა:

ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).
ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის (1-ლი გვერდი).
პარტიული ცხოვრება. — ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაცია და სტუდენტთა პოლიტიკური აღზრდა (მე-2 გვერდი).
გ. გამსახურდია. — წიგნი ჩვენი ქვეყნის ძალისა და ძლიერების წყაროებზე (მე-2 გვერდი).
გ. ხაბაზიშვილი. — ჟურნალ-გაზეთები — მასებში! (მე-2 გვერდი).
სადღესო თემაზე. — დავიცვათ ნათესები წანახდომისაგან (მე-3 გვერდი).
დ. ცხომარია. — შემოქმედებითად დავნერგოთ ნოვატორ მალცევის მეთოდი (მე-3 გვერდი).
ღამის ცვლა ასურეთის მტს-ის ტრაქტორთა ბრიგადაში (მე-3 გვერდი).
წერილები რედაქციას (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

## სკოლებში პოლიტექნიკური სწავლების მაღალი დონისათვის

პარტიის XIX ყრილობამ ჩვენი სკოლებისა და სახალხო განათლების ორგანოების წინაშე უმნიშვნელოვანესი ამოცანები დასახა. ამ ამოცანებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში პოლიტექნიკური სწავლების შემოღებას და საყოველთაო სავალდებულო პოლიტექნიკურ სწავლებაზე გადასვლისათვის სათანადო ღონისძიებათა განხორციელებას.

ამჟამად, როცა საბჭოთა ხალხი წარმატებით ახორციელებს კომუნიზმის მშენებლობის დიად პროგრამას, განუზომლად გაიზარდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის როლი. მის წინაშე ისახება ახალი, პასუხსაგები ამოცანები, რომლებიც მოითხოვენ სასწავლო და აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხის შემდგომ ამაღლებას. ჩვენი სკოლა ნამდვილად პოლიტექნიკური უნდა გახდეს, მოსწავლეებს აძლევდეს მეცნიერებათა საფუძვლების მტკიცე, სისტემატურ ცოდნას და ამასთან აცნობდეს მათ თანამედროვე სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძვლებს, აიარაღებდეს შრომითი ჩვევებით, რაც საჭიროა მათი მომავალი პრაქტიკული საქმიანობისათვის.

სწორედ ამ მიზანს ემსახურება მიმდინარე სასწავლო წლიდან შემოღებული ახალი სასწავლო გეგმა და პროგრამები, რომლებიც ითვალისწინებენ სკოლის უფრო მჭიდრო კავშირს ცხოვრებასთან, მიღებული ცოდნის გამოყენებას პრაქტიკაში, პოლიტექნიკური სწავლის დანერგვის უფრო ფართო ღონისძიებებს. ამ გეგმითა და პროგრამებით, რომლებსაც საფუძვლად უდევს პარტიის XIX ყრილობის მითითება სკოლების პოლიტექნიზაციის შესახებ, გათვალისწინებულია სკოლის მუშაობის გარდაქმნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების მიერ დასახული ამოცანების შესაბამისად.

ჩვენი რესპუბლიკის მთელმა რიგმა სკოლებმა რამდენადმე გარდაქმნეს თავიანთი საქმიანობა ახალი ამოცანების შესაბამისად, აამაღლეს სწავლა-აღზრდის ხარისხი, ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს სწავლებაში პოლიტექნიზაციის დასანერგავად. ამ მხრივ საკმაო გამოცდილება აქვს თბილისის მე-4 საშუალო სკოლას. აქ შეგნებული აქვთ, რომ პოლიტექნიკური სწავლება გულისხმობს არა სასწავლო ამოცანებისაგან მოწყვეტილ შრომას და ვიწრო პროფესიულ დახელოვნებას, არამედ ისეთ სწავლებას, რომელიც მეცნიერებათა საფუძვლების შესწავლის პროცესში მოსწავლე ახალგაზრდობას გააცნობს თანამედროვე წარმოებისა და სოფლის მეურნეობის ძირითად პრინციპებს, გამოუმუშავებს მომავალი პრაქტიკული საქმიანობის აუცილებელ ჩვევებსა და უნარს. აღნიშნული სკოლის მოსწავლეებმა მოაწყეს ექსკურსია თბილისის გარეუბნის რაიონის ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც ისინი გაეცნენ მინერალური სასუქების გამოყენებას, სათესლე მასალის შეწამვლას, ხეხილისა და ბოსტნეულის მავნებლებისა და ავადმყოფობის წინააღმდეგ შხამქიმიკატების გამოყენებას. ამავე სკოლის მოსწავლეები გაეცნენ ქსოვის ტექნოლოგიურ პროცესებს თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში და სპილენძის გადამუშავების პროცესებს სპილენძ-სატკეც ქარხანაში. თბილისის 23-ე სკოლამ მოაწყო ექსკურსია სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში. ასეთი მაგალითი ბევრია.

სკოლებში სწავლა-აღზრდის გაუმჯობესებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სასწავლო პროცესის პოლიტექნიზაციას. ამ საქმეში დიდ როლს ასრულებენ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ისტორიული გადაწყვეტილებანი სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საკითხებზე. ეს გადაწყვეტილებანი ჩვენგან მოითხოვენ სანიმუშოდ მოვაწყოთ სკოლებში სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე მუშაობა, შევაყვაროთ ბავშვებს მრავალდარგოვანი სოციალისტური სოფლის მეურნეობა, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა.

რესპუბლიკაში ცოტა როდია სკოლა, სადაც სასწავლო-საცდელი ნაკვეთი კარგად არის გამოყენებული. მაგალითად, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავის საშუალო სკოლის ნაკვეთი დიდი ხანია გამოყენებულია მოსწავლეთა შრომითი აღზრდის მიზნებისათვის. მოსწავლეებს თავიანთ საცდელ მუშაობაში მიჩურინული მითითებების გამოყენებით გამოჰყავთ მანდარინის, ხურმის, ჩაის მცენარეთა გაუმჯობესებული სახეები. ბიოლოგიურ დისციპლინათა სწავლების მაღალ საფეხურზე დაყენებისა და სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე უხვი და სარეკორდო მოსავლის მიღებისათვის ეს სკოლა საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეა.

სასწავლო-საცდელ ნაკვეთებს ასევე უნარიანად იყენებენ ცხაკაიას რაიონის სოფელ კოტიანეთის, დუშეთის რაიონის ჭიპორტის რვაწლიანი, ლანჩხუთის რაიონის ნიგოითის საშუალო და სხვა სკოლები.

მაგრამ მოსწავლეთა პოლიტექნიკური განათლების დარგში დაწყებული მუშაობა მრავალი არსებითი ნაკლითაც ხასიათდება. ზოგიერთ სკოლაში შექმნილი არ არის პოლიტექნიკური სწავლებისათვის საჭირო პირობები. მასწავლებლები მშრალად, პრაქტიკისაგან მოწყვეტილად, ცდებისა და თვალსაჩინოების გამოუყენებლად გადასცემენ გაკვეთილებს ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიასა და მათემატიკაში, არ აწყობენ ექსკურსიებს, უყურადღებოდ ეპყრობიან მიწის ნაკვეთებს და სასწავლო კაბინეტებს. სასწავლო-საცდელ ნაკვეთებს არადანიშნულებისამებრ იყენებენ წყალტუბოს რაიონის სოფელ ფარცხანაყანევის, მცხეთის რაიონის ჩარდახისა და ძველი ქანდის, აჭარის ასსრ შუახევის რაიონის სოფელ დარჩიძეების, ოლიდაურის რვაწლიანი და მთელი რიგი სხვა სკოლები. გარდა ამისა, აქ არ აწყობენ ექსკურსიებს, მოსწავლეებში არ ზრდიან ინტერესსა და სიყვარულს სოციალისტური სოფლის მეურნეობისადმი. ამ სკოლებში სუსტად მუშაობენ ნორჩ მიჩურინელთა და ტექნიკოსთა წრეებიც. ახალციხის, ყაზბეგის, დუშეთის, ქარელის, გორისა და სხვა რაიონების სკოლების საგრძნობ ნაწილს სასწავლო-საცდელი ნაკვეთები ჯერ კიდევ გამოყოფილი არა აქვს.

მოსწავლეებში შრომის ჩვევებისა და პოლიტექნიზაციის ელემენტების დანერგვა მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ აღვზარდოთ ისეთი თაობა, რომელიც წარმატებით შეძლებს როგორც უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელებას, ისე კომუნისტური მშენებლობის სხვადასხვა უბანზე მაღალნაყოფიერ საწარმოო შრომაში უშუალოდ ჩაბმას. ყველა ზომა უნდა მივიღოთ იმისათვის, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მოსწავლეებმა მთელი ენერგიით მოჰკიდონ ხელი გამოყენებით მეცნიერებათა საფუძვლების დაუფლებას, განიმსჭვალონ შრომისადმი, შრომის კულტურისადმი სიყვარულით.

პოლიტექნიკურ სწავლებასთან დაკავშირებით უაღრესად დიდი ამოცანის განხორციელება ეკისრებათ თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს, ნორჩ ნატურალისტთა და ტექნიკოსთა რესპუბლიკურ სადგურებს, რომლებიც თავიანთი მუშაობით ყოველმხრივ უნდა უწყობდნენ ხელს პოლიტექნიკური სწავლების მაღალ დონეზე დაყენებას.

აღსანიშნავია, რომ ტექნიკური ცოდნის შეძენისადმი მოსწავლე ახალგაზრდობის გაზრდილ ინტერესს ვერ აკმაყოფილებს საშუალო სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზა. ყველა სკოლა უზრუნველყოფილი არ არის სათანადოდ მოწყობილი ლაბორატორია-კაბინეტებით. ამიტომ მისასალმებელია პატრიოტული თაოსნობა, რომელიც გამოიჩინა შრომითი რეზერვების სისტემის № 5 სპეციალური სახელოსნო სასწავლებლის კომკავშირულმა ორგანიზაციამ. მან იკისრა შეფობა გაუწიოს თბილისის 36-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებს, ყოველმხრივ დაეხმაროს მათ საწარმოო პრაქტიკის მიღებაში. ეს ინიციატივა მხარდაჭერისა და გავრცელების ღირსია.

ახალი ამოცანები, რომლებიც სკოლების წინაშე დგას, სახალხო განათლების ორგანოებისაგან მოითხოვს დიდ ოპერატიულობას, თვითეული სკოლისადმი კონკრეტულ, ცოცხალ ხელმძღვანელობას.

სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის, პოლიტექნიკური სწავლების მაღალ დონეზე დაყენებისათვის ზრუნვა ადგილობრივი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ღვიძლი საქმეა. მათ ქმედითი ნაბიჯები უნდა გადადგან პოლიტექნიკური სწავლების გასაუმჯობესებლად და ყველა პირობა შექმნან ახალგაზრდობის აღსაზრდელად ლენინ-სტალინის პარტიისადმი, კომუნიზმის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით.

## ახალქალაქის რაიონის კოლმეურნეობებმა სახელმწიფოსათვის კარტოფილის ჩაბარების გეგმა შეასრულეს

ახალქალაქის რაიონის კოლმეურნეობებმა 10 ნოემბრისათვის შეასრულეს კარტოფილის ჩაბარების სახელმწიფო გეგმა. დამზადებული და ჩაბარებულია 2.100 ტონა კარტოფილი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.080 ტონისა. კარტოფილის ჩაბარება გრძელდება.

# ჩვენს დიად სამშობლოში



სტალინოს ოლქი. ვოროშილოვის სახელობის სამთო მანქანათმშენებლობის ქარხანა სხვადასხვა მოწყობილობას ამზადებს ქვანახშირის შახტებისათვის. სურათზე: საშახტო ელექტრომავალი „8-არვ".

ფოტო ს. გენდელმანისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

## შესრულებულია წლიური გეგმა

ისფარა, (ტაჯიკეთის სსრ), 11 ნოემბერი. (საკდესი). დღეს კიმისა და ნეფტეაბადის ნავთობსარეწთა კოლექტივებმა ვადამდე შეასრულეს თხევადი სათბობის ამოღების წლიური გეგმა. ტონა ნავთობის თვითღირებულება შემცირებულია შვიდი პროცენტით, შრომის ნაყოფიერება შეადგენს გეგმის 116 პროცენტს.

მენავთობეები კვლავ ზრდიან საწვავის ამოღებას. მათ გადაწყვიტეს წლის დამლევამდე ამოიღონ მრავალი ტონა ზეგეგმითი სათბობი.

## მეთევზეთა ახალი ვალდებულება

ასტრახანი, 11 ნოემბერი. (საკდესი). დღეს კასპიის აუზის თევზის მრეწველობამ შეასრულა თევზის ჭერისა და დამზადების წლიური გეგმა. დაჭერილია 3.100 ათასი ფუთით მეტი თევზი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულებულია ძვირფასი ჯიშების თევზის — ზუთხის და სხვ. ჭერის წლიური დავალება.

ახლა კასპიის მებადურები განაგრძობენ ინტენსიურ თევზჭერას. მათ ვალდებულება იკისრეს წლის დამლევისათვის დაიჭირონ კიდევ 1.200 ათასი ფუთი თევზი.

★ ★

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭო და უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოგახსენებენ, რომ, ახორციელებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებებს, რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობით ვადამდე შეასრულეს პურის დამზადების გეგმა, რომელიც უკრაინის სს რესპუბლიკისათვის იყო დაწესებული. გრძელდება პურის ჩაბარება მტს-ების მუშაობის ასანაზღაურებლად გადაცემული ანგარიშების მიხედვით და სახელმწიფო შესყიდვის წესით.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ფართოდ გამოიყენეს მიმდინარე წელს აგროტექნიკის პროგრესული წესები — კარტოფილისა და ბოსტნეულის კვადრატულ-ბუდობრივი და კვადრატული თესვა და რგვა, უზრუნველყვეს ნათესის მექანიზებული დამუშავება და გულმოდგინე მოვლა, დაძლიეს გვალვით გამოწვეული სერიოზული სიძნელეები, განსაკუთრებით უკრაინის სამხრეთ ოლქებში, და კარტოფილისა და ბოსტნეულის საკმაოდ კარგი მოსავალი მოიყვანეს, რამაც შესაძლებელი გახადა სახელმწიფოს ჩაბარებოდა 1 მილიონ 250 ათასი ტონა კარტოფილი, ანუ 210 ათასი ტონით მეტი, ვიდრე ჩაბარდა 1953 წელს ამ თარიღისათვის. შარშანდელთან შედარებით გადიდდა ბოსტნეულის ჩაბარებაც.

მიმდინარე წელს სახელმწიფოს ჩაბარდა და მიეყიდა აგრეთვე იმაზე მეტი, ვიდრე ჩაბარებული და მიყიდული იყო 1953 წელს ამ თარიღისათვის: საბურღულე და პარკოსანი კულტურები 8 მილიონი ფუთით, სელის თესლი 37 ათასი ცენტნერით, სელის ბოჭკო 10 ათასი ცენტნერით, ქერელის ბოჭკო 28 ათასი ცენტნერით, თამბაქო და წეკო 9 ათასი ცენტნერით მეტი. დამთავრდა შაქრის ჭარხლის ამოღება და მთავრდება მისი გამოზიდვა.

განვლილ წელს ძროხის სულადობა რესპუბლიკის კოლმეურნეობებში 337 ათასი სულით, ანუ 19 პროცენტით გადიდდა და მისი ხვედრითი წონა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საერთო ჯოგში 26-დან 32 პროცენტამდე გადიდდა. მიმდინარე წელს დამზადებული და შესყიდულია 88 ათასი ტონით მეტი რძე, 131 ათასი ტონით მეტი ხორცი და 7 ათასი ცენტნერით მეტი მატყლი, ვიდრე შარშან ამ თარიღისათვის.

უკრაინის სსრ კოლმეურნეები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით შრომობენ იმისათვის, რომ უზრუნველყონ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი მოსავლის მიღება 1955 წელს. საშემოდგომო კულტურების თესვის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა, გეგმის გადამეტებით დაითესა 503 ათასი ჰექტარი. რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ნიადაგი მომზადდა და საშემოდგომო კულტურები დაითესა საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში და მაღალი ხარისხით. ფართოდ იყო გამოყენებული ჯვარედინად და ვიწრო მწკრივებად თესვა. შესრულებულია მზრალად ხვნის გეგმა, მოხნულია მზრალად 422 ათასი ჰექტარით მეტი და შემოდგომის ანეული 140 ათასი ჰექტარით მეტი, ვიდრე 1953 წელს. კოლმეურნეობათა მინდვრებში შეზიდულია 5.5 მილიონი ტონით მეტი ადგილობრივი სასუქი, ვიდრე გასული წლის ამ პერიოდში. უკრაინის მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა შეასრულეს კოლმეურნეობებში მთელი მექანიზებული სამუშაოები პირობით ხვნაზე გადაყვანით 5,1 მილიონი ჰექტარით მეტი, ვიდრე შესრულებული იყო 1953 წლის ამ თარიღისათვის.

ახლა კოლმეურნეთა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა, პარტიული და საბჭოთა ორგანოების მთელი ძალღონე იმას ხმარდება, რომ წარმატებით მოეწყოს პირუტყვის გამოზამთრება, მიღწეულ იქნას რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი აღმავლობა.

უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭო

უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი



მოლოტოვი. გზატკეცილის ხიდის ბურჯების დადგმა კამის ჰესის კაშხალზე.

ფოტო დ. ონოხინისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

## ჩარხები ავტომატური ხაზებისათვის

მოსკოველმა მანქანათმშენებლებმა უკვე არაერთი ათეული სხვადასხვა ავტომატური ხაზი შექმნეს. ამ ხაზებზე მზადდება საკისრები, ტრაქტორის ძრავების სადგუშე თითები, სამშენებლო დეტალები.

ასეთი ხაზებისათვის მრავალი აგრეგატი დააპროექტა ლითონსაჭრელი ჩარხების ექსპერიმენტულმა სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა. აქ დამთავრდა სწორ და სპირალურ კბილებიანი ცილინდრული კბილანების საჭრელი ავტომატის გამოცდა. კბილანების დამუშავება ხდება ფრეზებით, რომლებიც აღჭურვილია ხალი შენადნობისაგან დამზადებული დანებით. ჩარხის კონსტრუქცია შესაძლებელს ხდის გამოიჭრას კბილიანი ბორბლები, რომელთა სიჩქარე 5-6-ჯერ მეტია ჩვეულებრივზე. მეორე აგრეგატი შეიძლება დაიდგას ხაზში, რომელიც ამზადებს ავტომობილის დგუშებს და მანქანების სხვა დეტალებს. 36 წამში ამ ჩარხით ახარატებენ ოთხ ნაწარმს. (საკდესი).

## მოგებათა ტირაჟი

14 ნოემბერს გაიმართება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხის (1951 წლის გამოშვება) მოგებათა მორიგი ტირაჟი.

ტირაჟი გაიმართება ქალაქ პსკოვში.

(საკდესი).

# ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის

## ქუთაისის საწარმოთა კოლექტივების პასუხი

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქუთაისის საწარმოთა კოლექტივებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი მოსკოველთა თაოსნობას მეხუთე ხუთწლიანი გეგმის ვადამდე განაღდების შესახებ. სამთო მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა იკისრა ხუთწლიანი გეგმის დიდი ოქტომბრის რევოლუციის 38-ე წლისთავისათვის შესრულება. ამასთან მანქანათმშენებლებმა იკისრეს შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით გაადიდონ 10 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულება შეამცირონ 8 პროცენტით და უზრუნველყონ სამსხმელო საამქროს მთლიანი მექანიზაცია.

მიქოიანის სახელობის საკონსერვო ქარხანაში გადაწყვიტეს ხუთწლიანი გეგმა შეასრულონ მომავალი წლის 25 დეკემბრისათვის, შრომის ნაყოფიერება გაადიდონ გეგმასთან შედარებით 17 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულება შეამცირონ 10 პროცენტით. გარდა ამისა, მეკონსერვეებმა იკისრეს მთავარ საამქროში გამართონ ტომატის სახარშავი ახალი აპარატი, სასტერილიზაციო განყოფილებაში — ხუთი ავტოკლავი და მოაწყონ თუნუქის გამკრიალებელი და საყუთე საამქრო.

ლიტოპონის ქარხნის კოლექტივმა პირობა დადო ხუთწლიანი გეგმის დავალება 1955 წლის 7 ნოემბრისათვის გაანაღდოს, 1954-55 წლებში რესპუბლიკის სოფლის მეურნეობას გეგმის გადამეტებით მისცეს 400 ტონა შაბიამანი, შრომის ნაყოფიერება 1955 წელს გაზარდოს 72 პროცენტით 1950 წელთან შედარებით, მომავალ წელს პროდუქციის თვითღირებულება მიმდინარე წელთან შედარებით შეამციროს 4 პროცენტით, ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით გამოუშვას მრავალი ათასი მანეთის პროდუქცია.

## მოწინავე ფეიქართა ვალდებულებები

მოსკოვის მოწინავე საწარმოთა თაოსნობამ და მოწოდებამ — გაჩაღდეს სოციალისტური შეჯიბრება შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის — ფართო გამოხმაურება და მოწონება ჰპოვა თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა შორის.

10 ნოემბერს მოწვეულ იქნა კომბინატის აქტივის თათბირი მოსკოველთა ამ ინიციატივის განსახილველად. თათბირს ესწრებოდნენ ბრიგადირები, ოსტატები, ქვეოსტატები, საამქროთა ხელმძღვანელები, წარმოების მოწინავე მუშები.

თათბირის მონაწილეებმა აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი, გაითვალისწინეს არსებული რეზერვების გამოყენების პერსპექტივები და მთელი კომბინატის კოლექტივის სახელით იკისრეს შემდეგი ვალდებულებების შესრულება:

მზა პროდუქციის გამოშვების ხუთწლიანი დავალება 1955 წლის 1 აგვისტოსათვის შეასრულონ და ხუთწლედის მეხუთე წლის ბოლოსათვის გეგმის გადამეტებით გამოუშვან 1,5 მილიონი მეტრი შალის ქსოვილები.

ადგილობრივი რეზერვების გამოყენების, ახალი ტექნიკის დანერგვის, შრომის მოწინავე მეთოდებისა და საუკეთესო გამოცდილების მასობრივად გავრცელების საშუალებით 1955 წლის ბოლოსათვის 1950 წლის დონესთან შედარებით უზრუნველყონ შრომის ნაყოფიერების გადიდება სულ ცოტა 20 პროცენტით, აითვისონ ახალი არტიკულისა და მოხატულობის ქსოვილები, ტექნიკური გაუმჯობესებისა და რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვის შედეგად გაათავისუფლონ 450 კვადრატული მეტრი საწარმოო ფართობი 30 საქსოვი აგრეგატის გასამართავად.



[illegible]

## საქსოვი მანქანები, ამწე მოწყობილობა გეგმის გადამეტებით

თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკოსებისა და მოსამსახურეების საერთო კრებამ ერთსულოვნად მოიწონა მოსკოვის მოწინავე საწარმოთა კოლექტივების მოწოდება მეხუთე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ და გადაწყვიტა, რომ ქარხნის კოლექტივი უკლებლივ ჩაებას ამ შეჯიბრებაში.

მანქანათმშენებლებმა, რომლებმაც მეხუთე ხუთწლედის განვლილ პერიოდში გეგმის გადამეტებით უკვე გამოუშვეს რამდენიმე მილიონი მანეთის პროდუქცია, იკისრეს:

მეხუთე ხუთწლედი საერთო პროდუქციის გამოშვების დარგში შეასრულონ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 38-ე წლისთავისათვის — 1955 წლის 7 ნოემბრისათვის;

ამავე თარიღისათვის უზრუნველყონ საქსოვი მანქანების გამოშვების ხუთწლიანი გეგმის განაღდება;

1955 წლის დამლევისათვის შრომის ნაყოფიერება 1950 წლის დონესთან შედარებით გაადიდონ 70,2 პროცენტით, ხოლო სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულება 1954 წლის მაჩვენებელთან შედარებით შეამცირონ 2 პროცენტით და 1955 წლის ბოლომდე უზრუნველყონ საქსოვი მანქანებისა და ამწე მოწყობილობის საგრძნობი რაოდენობით გამოშვება ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით.

პარტიული ცხოვრება

# ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაცია და სტუდენტთა პოლიტიკური აღზრდა

საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, რომლის კოლექტივი 8.000-მდე კაცს აერთიანებს, ინჟინერთა კადრებს ამზადებს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისათვის.

ცნობილია, რომ უმაღლეს სასწავლებელში აღმზრდელობითი მუშაობა იწყება თვით ლექციაზე, პრაქტიკულ და ლაბორატორიულ მეცადინეობაზე. საჭიროა მთელი სასწავლო პროცესის ისეთი ორგანიზაცია, რომ თვითეული ლექცია, თვითეული მეცადინეობა ემსახურებოდეს არა მარტო სტუდენტთა სწავლებას, არამედ მათ პოლიტიკურ აღზრდასაც. ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს სწავლების მაღალი იდეური და მეცნიერული დონის უზრუნველყოფა. სწორედ ამიტომ ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის სხდომებზე, აგრეთვე საფაკულტეტო პარტიული ორგანიზაციების და კათედრების პარტჯგუფების კრებებზე სასწავლო პროცესის საკითხების განხილვის დროს სერიოზული ყურადღება ეთმობა სტუდენტთა პოლიტიკური აღზრდის საქმეში პროფესორ-მასწავლებელთა პასუხისმგებლობის ამაღლებას. ოქტომბერში პოლიტიკური ეკონომიის კათედრის პარტიული ჯგუფის კრებაზე იმსჯელეს ლექციების იდეური შინაარსის გაუმჯობესების საკითხზე და განახორციელეს სათანადო ღონისძიებანი, რამაც კარგი შედეგი გამოიღო.

სტუდენტთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და კულტურულ-მასობრივი მუშაობა ეწყობა ერთიანი გეგმის მიხედვით, რომლის შემუშავებასა და შესრულებაში პარტიულ კომიტეტთან და დირექციასთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებენ კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები. ერთიანი გეგმის მიხედვით გასულ სასწავლო წელს სტუდენტთათვის წაკითხულ იქნა 500-ზე მეტი ლექცია და მოხსენება, მათ შორის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შედეგებზე.

პარტიული ორგანიზაციები და პარტჯგუფები სერიოზულ ღონისძიებებს ახორციელებენ სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესებისათვის. მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისში საფაკულტეტო პარტიული ორგანიზაციების ბიუროებმა გადასინჯეს და შეავსეს აგიტატორთა შემადგენლობა, აგიტატორებად შერჩეული არიან აკადემიურად მოწინავე სტუდენტები.

ინსტიტუტის სტუდენტთა საგრძნობი ნაწილი საერთო საცხოვრებლებში ცხოვრობს. სწორედ ამიტომ საერთო საცხოვრებლებში სტუდენტთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის, საყოფაცხოვრებო პირობებისა და დისციპლინის მდგომარეობის შესახებ სისტემატურად მსჯელობენ პარტიული კომიტეტი და საფაკულტეტო პარტორგანიზაციების ბიუროები. ამას წინათ პარტიულმა კომიტეტმა განიხილა საკითხი არსენალის მთაზე საერთო საცხოვრებელში მცხოვრებ სტუდენტთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობისა და დისციპლინის მდგომარეობის შესახებ. გამოვლინდა სერიოზული ნაკლოვანებანი, რომელთა გამოსასწორებლად დაისახა კონკრეტული ღონისძიებანი. გადახალისდა სტუდენტთა საბჭოს შემადგენლობა, შეიცვალა საერთო საცხოვრებლის ხელმძღვანელობა. ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრისა და კომკავშირის კომიტეტის მომხსენებელთა ჯგუფის ძალებით საერთო საცხოვრებელში გაიმართა ლექცია-მოხსენებანი სტუდენტებისათვის საინტერესო თემებზე: „საბჭოთა ადამიანის მორალური სახე“, „მეგობრობა და ამხანაგობა“, „სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების შესახებ“, „კომუნისტური აღზრდა“ და სხვ.

უკანასკნელ ხანებში პარტიული კომიტეტი გაცილებით მეტ ყურადღებას უთმობს სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის სწორ ორგანიზაციას. საწარმოო პრაქტიკის ობიექტებზე ყოფნისას სტუდენტთა ერთი ნაწილი ნაცვლად იმისა, რომ დამოუკიდებელ შრომას შეეჩვიოს და თეორიული ცოდნა პრაქტიკული გამოცდილებით განიმტკიცოს, უსაქმურობაში ატარებს დროს. ასე მოხდა, მაგალითად, მიმდინარე წლის ივლისში ტაგანროგის ერთ-ერთ ქარხანაში მეტალურგიის ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტთა ჯგუფის მიერ საწარმოო პრაქტიკის გავლის დროს. ზოგიერთი სტუდენტი უსაქმოდ დასეირნობდა ქარხნის ტერიტორიაზე, არ ადგენდა საწარმოო პრაქტიკის დღიურებს. მათ შორის იყვნენ კომკავშირელი სტუდენტები ო. ართილაყვა და ო. ბაბუაძე.

სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის საკითხი სპეციალურად შეისწავლა და სექტემბერში განიხილა პარტიულმა კომიტეტმა. მიღებულ ღონისძიებათა განხორციელება ხელს შეუწყობს სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის უკეთ მოწყობას.

საჭიროა აღინიშნოს, რომ პარტკომი და დირექცია ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდნენ სტუდენტთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითს მუშაობაში ყველა პროფესორ-მასწავლებლის აქტიურ ჩაბმას. ჩვენს ინსტიტუტში 400-მდე პროფესორ-მასწავლებელია. ეს დიდი ძალაა. მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთ პროფესორ-მასწავლებელს იშვიათად ვხვდებით ინსტიტუტში ჩატარებულ მასობრივ ღონისძიებებზე, ახალგაზრდობის საღამოებზე, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების კრებებზე. ახალი სასწავლო წლის დასაწყისიდანვე პარტიულმა კომიტეტმა და დირექციამ სათანადო ზომები მიიღეს იმისათვის, რომ პროფესორ-მასწავლებელთა კოლექტივი უფრო აქტიურად ჩაებას სტუდენტი ახალგაზრდობის პოლიტიკური აღზრდის საქმეში. პარტორგანიზაცია ამზადებს ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა საერთო კრებას სტუდენტთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერების საკითხზე.

ინსტიტუტის სტუდენტთა 95 პროცენტზე მეტი კომკავშირელები არიან. კომკავშირული ორგანიზაცია, რომელიც 4.100-ზე მეტ კომკავშირელს აერთიანებს, სტუდენტთა შორის სერიოზულ პოლიტიკურ-აღმზრდელობითს მუშაობას ეწევა. ამას წინათ ინსტიტუტის კომკავშირული აქტივის კრებამ განიხილა საკითხი სტუდენტთა შორის სასწავლო და საზოგადოებრივი დისციპლინის განმტკიცების შესახებ. როგორც მომხსენებელმა, კომკავშირის კომიტეტის მდივანმა დ. როგავამ, ისე კამათში გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ ზოგიერთი სტუდენტი უხეშად არღვევს სასწავლო და საზოგადოებრივ დისციპლინას. უდისციპლინო სტუდენტთა შორის კომკავშირელებიც არიან. მექანიკის ფაკულტეტის კომკავშირის ბიუროს მდივნის ყოფილი მოადგილე ე. დობორჯგინიძე თავის ამხანაგებთან ერთად ოდესაში საწარმოო პრაქტიკის გავლის დროს საერთო საცხოვრებელში უხეშად იქცეოდა, ხოლო შემდეგ მათ ვადაზე ადრე დატოვეს საწარმოო პრაქტიკა. სამშენებლო ფაკულტეტის სტუდენტი კომკავშირელი ლ. მეძმარიაშვილი ლექციის მსვლელობის დროს უდისციპლინობისათვის აუდიტორიიდან გააძევეს. ეს და ამის მსგავსი ფაქტები იმის შედეგია, რომ ინსტიტუტის კომკავშირული ორგანიზაცია ჯერ კიდევ არასაკმაოდ იბრძვის სტუდენტთა შორის დისციპლინის განმტკიცებისათვის.

პარტიულმა კომიტეტმა ჯერ კიდევ ვერ შესძლო სტუდენტთა შორის მასობრივ-პოლიტიკური და კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის ჯეროვან სიმაღლეზე დაყენება. პარტიული ორგანიზაციის ხშირად დროულად ვერ ეხმაურება დისციპლინის დარღვევის ფაქტებს, არ იქმნება საზოგადოებრივი აზრი დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ. ამ მხრივ სუსტად მუშაობს ინსტიტუტის მრავალტირაჟიანი გაზეთი „კიროველი“.

უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინაშე დიდი ამოცანებია დასახული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სექტემბრის დადგენილებით. ეს დიდმნიშვნელოვანი დადგენილება უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა მომზადების, განაწილებისა და გამოყენების გაუმჯობესების შესახებ წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების შემდგომი განვითარების ფართო პროგრამას.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ დღეებში ჩატარებულმა პლენუმმა, რომელმაც იდეოლოგიური მუშაობის საკითხები განიხილა, სერიოზული ყურადღება დაუთმო ახალგაზრდა სპეციალისტთა მომზადების, სტუდენტთა შორის იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის საკითხებს. პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელება და ამ საფუძველზე ახალგაზრდა სპეციალისტთა კადრების აღზრდის შემდგომი გაუმჯობესება ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაციის საბრძოლო ამოცანაა.

**გ. სალუქვაძე,**
საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივანი.



ქ. ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ძრავების საამქროს მოწინავე ამწყობი შალვა ჩუბინიძე (მარჯვნივ) და მღარავი ოთარ ფორჩხიძე დავალებას სისტემატურად 250-300 პროცენტით ასრულებენ.

ფოტო რ. მორჩილაძისა.

## შეჯიბრებაში გამარჯვებული საწარმოები და ბრიგადები

საქართველოს სსრ ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის საწარმოებიდან მიმდინარე წლის მესამე კვარტალში საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდნენ და მესამე პრემია მიეკუთვნათ თბილისის ფეხსაცმლის მესამე ფაბრიკის და ქალაქ ჭიათურის აბრეშუმის ძაფსაღებ-საგრეხი ფაბრიკის კოლექტივებს. რესპუბლიკური გარდამავალი წითელი დროშა მიეკუთვნა სამტრედიის აბრეშუმის ძაფსაღებ ფაბრიკას.

მესამე კვარტალში მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მიღწევისათვის „საუკეთესო ხარისხის პროდუქციისა და მაღალნაყოფიერი შრომის ბრიგადის“ სახელი მიენიჭათ თბილისის ფეხსაცმლის მეორე ფაბრიკაში ე. ავოიანისა და ტ. სეროფოვის, ფეხსაცმლის მესამე ფაბრიკაში — რ. ნერსესიანის, ა. წერეთლისა და ტ. გოდიშევსკის, სამტრედიის ფეხსაცმლის ფაბრიკაში — ა. ხაჩატუროვის, მეშვიდე სამკერვალო ფაბრიკაში — პ. ენუქიძის, მ. პაპიაშვილისა და ნ. გიგაშვილის ბრიგადებს. ეს წოდება მიეკუთვნათ აგრეთვე ქუთაისის აბრეშუმკომბინატში ქსოვებელ ს. გლადკიხისა და ზ. მაქსიმოვას, ტყავფეხსაცმლის კომბინატში ი. ფანცხავას და ვ. ფხაკაძის, სამკერვალო ფაბრიკაში კ. მხეიძისა და ნ. ბელისეიშვილის ბრიგადებს.

* * *

მესამე კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით საკავშირო პროფსაბჭოსა და სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი პრემია მიეკუთვნათ სამტრესტის თბილისის ღვინის პირველი ქარხნისა და ბორჯომის მინერალური წყლის ჩამომსხმელი ქარხნის კოლექტივებს. მეორე პრემია მიეკუთვნათ წყალტუბოს ჩაის ფაბრიკას და ავჭალის შუშის ქარხანას; მესამე — ოჩამჩირისა და ჩაქვის ჩაის № 1 ფაბრიკებსა და საქჩაიმშენმონტაჟის ტრესტის ქუთაისის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს.

# ჟურნალ-გაზეთები — მასებში!

საბჭოთა ხალხის ყოფაცხოვრებაში მტკიცედ დამკვიდრდა პრესა. გაზეთების, ჟურნალების, წიგნების კითხვა ჩვენი მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის ყოველდღიურ სულიერ მოთხოვნილებად გადაიქცა. საბჭოთა პრესა, რომელსაც მასებში შეაქვს მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე იდეები, პროპაგანდას უწევს მუშაობის მოწინავე მეთოდებს, წარმოადგენს კრიტიკისა და თვითკრიტიკის მძლავრ იარაღს. გაზეთები და ჟურნალები ყოველდღიურად რაზმავენ საბჭოთა ადამიანებს პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ისტორიული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის.

საბჭოთა კავშირში გამოდის ათასობით გაზეთი და ჟურნალი, რომელთა საერთო ტირაჟი ამჟამად 56 მილიონ ეგზემპლარს აღწევს. მიმდინარე წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა ცენტრალური გაზეთების „პრავდის“, „მედიცინსკი რაბოტნიკის“, „სოვეტსკაია ტორგოვლიას“, „უჩიტელსკაია გაზეტას“, „პიონერსკაია პრავდის“, ჟურნალ „კომუნისტის“, რესპუბლიკური გაზეთების „კომუნისტის“, „ზარია ვოსტოკას“, „სოვეტაკან ჰაიასტანის“, მთელი რიგი საწარმოო, სამეცნიერო-ტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო ჟურნალების ტირაჟი. ამას წინათ დაიწყო გამოსვლა „სტროიტელნაია გაზეტამ“, მიმდინარე წლიდან გამოდის ჟურნალები „პარტიინაია ჟიზნ“, „მეჟდუნაროდნაია ჟიზნ“, ბევრი სამეცნიერო ჟურნალი და სხვა გამოცემა.

მილიონობით საბჭოთა ადამიანი იწერს პერიოდულ გამოცემებს. მარტო ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ხელმოწერით ყოველდღიურად იღებენ 850 ათასზე მეტ ეგზემპლარ ცენტრალურ და ადგილობრივ გაზეთებსა და ჟურნალებს.

„სოიუზპეჩატისა“ და კავშირგაბმულობის ორგანოების ბევრი მუშაკი, რომელსაც კარგად ესმის თავისი დიდი მოვალეობა, დღითიდღე წარმატებით ავრცელებს მასებში ბეჭდვით ნაწარმოებებს როგორც ხელმოწერით, ისე ცალობით. მათ შორის აღსანიშნავია „სოიუზპეჩატის“ ზუგდიდის და სამტრედიის რაიონების მუშაკები, რომლებმაც ჟურნალ-გაზეთების როგორც ხელმოწერით, ისე ცალობით გავრცელების მიმდინარე წლის გეგმა 7 ოქტომბრისათვის შეასრულეს. წარმატებით ავრცელებენ ჟურნალ-გაზეთებს ხაშურის, ცხაკაიას და ზოგიერთ სხვა რაიონებში, სადაც „სოიუზპეჩატის“ და კავშირგაბმულობის ორგანოების მუშაკები ფართოდ ეყრდნობიან საზოგადოებრივ გამავრცელებელთა აქტივს და სარგებლობენ ადგილობრივი პარტიული ორგანოების საქმიანი ხელმძღვანელობითა და დახმარებით.

მაგრამ ყველა ქალაქსა და რაიონში როდია დამაკმაყოფილებლად მოწყობილი ჟურნალ-გაზეთების გავრცელების საქმე. განსაკუთრებით მოისუსტებს მუშაობა ამ მხრივ წლის მეორე ნახევარში, კერძოდ გაზეთების „მოლოდოი სტალინეცის“, „სოვეტაკან ჰაიასტანის“, „ლიტერატურული გაზეთის“, ჟურნალების „მნათობის“, „მეცნიერება და ტექნიკის“, აგრეთვე „აგიტატორის ბლოკნოტის“ გავრცელების საქმეში. არცერთი ამ გამოცემის ხელმოწერით გავრცელების დავალება შესრულებული არ არის. ჩამორჩენა გვაქვს ზოგიერთი ცენტრალური, საქალაქო და რაიონული გაზეთების გავრცელებაშიც. აქ ჩამოთვლილი ჟურნალ-გაზეთების გავრცელებაში განსაკუთრებით ჩამორჩებიან ბორჯომის, ბოლნისის, გორის, გურჯაანის, დუშეთის, ზესტაფონის, ქუთაისის, მარნეულის და ზოგიერთი სხვა რაიონები. ამ ჩამორჩენაში ბრალი მიუძღვით პირველ რიგში კავშირგაბმულობის რაიონული კანტორების ხელმძღვანელებს, რომლებიც ვერ რაზმავენ თავიანთ მუშაკებს ამ მეტად პასუხსაგები საქმის — ჟურნალ-გაზეთების გავრცელების წარმატებით მოწყობისათვის. საყვედურის ღირსია ზოგიერთი გამომცემლობა, რომელიც ნაკლებ დაინტერესებას იჩენს თავისი გამოცემების დროულად და მთლიანად გავრცელებისათვის. ჟურნალ-გაზეთების გავრცელებაში არსებული ჩამორჩენა ზემოაღნიშნულ რაიონებში იმითაც აიხსნება, რომ ზოგიერთ [illegible] ადგილობრივი [illegible] სუსტად ეხმარებიან კავშირგაბმულობის ორგანოებს ბეჭდვითი გამოცემების [illegible] კონტროლს არ უწევენ მათ საქმიანობას.

კავშირგაბმულობის ორგანოები ამჟამად რესპუბლიკაში აწარმოებენ ჟურნალ-გაზეთებზე ხელმოწერას 1955 წლისათვის. მათ წინაშე დგას მეტად პასუხსაგები ამოცანა — მომავალი წლისათვის რესპუბლიკაში ხელმოწერით გაავრცელონ ცენტრალური, რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული გამოცემების 900 ათასზე მეტი წლიური კომპლექტი.

ამ ამოცანის წარმატებით შესრულება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჟურნალ-გაზეთების გავრცელებაში ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები ფართოდ ჩააბამენ კავშირგაბმულობის განყოფილებებისა და სააგენტოების მუშაკებს, ფოსტალიონებს, კოლმეურნეობებში წერილების დამტარებლებს, პრესის საზოგადოებრივ გამავრცელებლებს. მხოლოდ ამ ფართოდ განშტოებული მასობრივი აპარატის საშუალებით, რომელსაც ყოველდღიური ურთიერთობა აქვს მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციის უფართოეს მასებთან, შეიძლება წარმატებით მოვაწყოთ პრესის გავრცელება, მივცეთ საშუალება ჩვენი ქალაქებისა და სოფლების მშრომელებს რეგულარულად მიიღონ და იკითხონ ჟურნალ-გაზეთები და სხვა პერიოდული გამოცემანი.

ჟურნალ-გაზეთებზე ხელმოწერის წარმატებას წაადგება აგრეთვე ცალკეულ გამომცემლობათა მოქნილი მუშაობა. ისინი ვალდებული არიან თავიანთ გამოცემათა პროპაგანდის მიზნით დაუყოვნებლივ გამოუშვან სათანადო პლაკატები და განცხადებები. ეს პირველ რიგში ეხება იმ გამომცემლობებს, რომლებიც უშვებენ გაზეთებს „სოვეტაკან ჰაიასტანს“, „მოლოდოი სტალინეცს“, „ლელოს“, ჟურნალებს „მნათობს“, „პიონერს“, „დილას“, „საქართველოს კოლმეურნეს“, „კომუნისტური აღზრდისათვის“.

ჟურნალ-გაზეთებზე 1955 წლისათვის ხელმოწერის დაწყებიდან დღემდე განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობა იმას მოწმობს, რომ, მიუხედავად ერთგვარი წარმატებისა, ბევრგან ეს საქმე ჯერ კიდევ ვერა დგას სათანადო სიმაღლეზე. ჯერჯერობით არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მომავალი წლისათვის ჟურნალ-გაზეთებზე ხელმოწერა თიანეთის, წალენჯიხის, ქარელის, ასპინძის, გორის, კასპის, ონის, ორჯონიკიძის, აბაშის რაიონებში, ფოთში.

აქედანვე უნდა იქნას მიღებული ყველა საჭირო ზომა არსებული ჩამორჩენის სალიკვიდაციოდ. პარტიისა და კომკავშირის რაიონულმა კომიტეტებმა შეუნელებელი ყურადღება უნდა გამოიჩინონ თავიანთ რაიონებში ჟურნალ-გაზეთების გავრცელებისადმი. მათ ყოველდღიურად უნდა მიიღონ კავშირგაბმულობის რაიონული კანტორების უფროსების ინფორმაცია ჟურნალ-გაზეთებზე ხელმოწერის მიმდინარეობის შესახებ, დროულად მიიღონ კონკრეტული ღონისძიებანი პრესის გავრცელების საქმის წარმატებით დასაგვირგვინებლად.

ხელმოწერის ჩატარებაში, განსაკუთრებით სამეცნიერო, ტექნიკურ, სასოფლო-სამეურნეო და სხვა დარგობრივი გამოცემების გავრცელების საქმეში კავშირგაბმულობის ორგანოებს დიდი დახმარება შეუძლიათ აღმოუჩინონ და კიდევაც უნდა აღმოუჩინონ საწარმოთა დირექტორებმა და ინჟინრებმა, კოლმეურნეობების, მტს-ების, საბჭოთა მეურნეობების აგრონომებმა და ზოოტექნიკოსებმა, მასწავლებლებმა, ექიმებმა და სხვა სპეციალისტებმა.

პერიოდული პრესის გავრცელება დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის საქმეა. კავშირგაბმულობის მუშაკებმა, რომლებსაც ეს საპატიო ამოცანა აკისრიათ, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობითა და ფართო აქტივის მონაწილეობით წარმატებით უნდა უზრუნველყონ მისი შესრულება.

**გ. ხაბაზიშვილი,**
„სოიუზპეჩატის“ საქართველოს განყოფილების უფროსის მოადგილე.

## გიორგი ლეონიძის პოემა უიღურულ ენაზე

ტაშკენტში უიღურულ ენაზე გამოვიდა გიორგი ლეონიძის პოემა „სტალინი. ბავშვობა და ყრმობა“. წიგნი გამოუშვა გამომცემლობა „ვოსტოჩნაია პრავდამ“.

# წიგნი ჩვენი ქვეყნის ძალისა და ძლიერების წყაროებზე

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია უდიდეს ყურადღებას აქცევს ჩვენი ქვეყნის ძალისა და ძლიერების წყაროების, ჩვენი საზოგადოების მამოძრავებელი ძალების კიდევ უფრო განმტკიცებასა და განვითარებას. საბჭოთა საზოგადოების მამოძრავებელი ძალების ღრმად შესწავლა და თეორიული გაშუქება უაღრესად საპატიო საქმეა.

ამას ემსახურება ი. ნატროშვილის მონოგრაფიული ნაშრომი „საბჭოთა ქვეყნის ძალისა და ძლიერების წყაროები“.

ქართულად ამ საკითხებზე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ ცალკეულ სტატიებს, ვრცელი კვალიფიციური ნაშრომი არ მოგვეპოვება.

ავტორი მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა დებულებებზე დაყრდნობით სწორად აშუქებს თემის თითქმის ყველა ძირითად საკითხს. ნაშრომში დახასიათებულია საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება, ნაჩვენებია სოციალისტური სისტემის უპირატესობანი კაპიტალისტური სისტემის წინაშე.

ეხება რა კაპიტალისტური საზოგადოებისათვის დამახასიათებელ წინააღმდეგობებს, ი. ნატროშვილი აღნიშნავს, რომ წინააღმდეგობანი ღრღნიან კაპიტალიზმის საფუძვლებს და დაღუპვისაკენ მიაქანებენ მას. კაპიტალიზმის წინააღმდეგობანი, კერძოდ, წინააღმდეგობა წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძო-კაპიტალისტურ ფორმას შორის, თავს იჩენენ ქრონიკული კრიზისებით, უმუშევრობით, მუშებსა და კაპიტალისტებს შორის შეურიგებელი კლასობრივი ბრძოლით.

ნაშრომში ნაჩვენებია საბჭოთა ქვეყნის ეკონომიური საფუძვლის—მეურნეობის სოციალისტური სისტემისა და წარმოების იარაღთა და საშუალებათა სოციალისტური საკუთრების, როგორც ჩვენი ხალხის კეთილდღეობის დასაყრდენის არსი. ნაშრომში დახასიათებულია ჩვენი სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი პროპორციული განვითარება, რაც უძლეველს ხდის სოციალიზმის ქვეყანას, ხაზგასმულია, რომ ჩვენი კომუნისტური პარტიის პოლიტიკისათვის დამახასიათებელია განუხრელი ზრუნვა მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილებისათვის.

ავტორი სწორად აშუქებს ლენინურ-სტალინურ თეორიას და პოლიტიკას ეროვნულ საკითხში და მის რევოლუციურ გადაწყვეტას, რაც განხორციელდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად.

მსოფლიო პროლეტარიატის დიდმა ბელადებმა ლენინმა და სტალინმა დაასაბუთეს, რომ კაპიტალიზმის დროს შეუძლებელია ეროვნული საკითხის სწორად გადაწყვეტა, რომ ეროვნული ჩაგვრის მოსპობა უშუალოდ დაკავშირებულია კლასობრივი ჩაგვრის მოსპობასთან. ოქტომბრის რევოლუციამ, რომელმაც ბოლო მოუღო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას, შესაძლებელი გახადა ეროვნულ საკითხში ჩვენი პარტიის პროგრამის განხორციელება. რევოლუციის გამარჯვებისთანავე დაკანონდა ჩვენი ქვეყნის ხალხთა თანასწორუფლებიანობა, წინათ ჩაგრულ ხალხებს ფართო გასაქანი მიეცათ. ჩვენს ქვეყანაში წარმოიშვნენ სოციალისტური ერები, რომლებიც ძირეულად განსხვავდებიან ბურჟუაზიული ერებისაგან და ავითარებენ ფორმით ეროვნულ და შინაარსით სოციალისტურ კულტურას.

სარეცენზიო ნაშრომში განხილულია საბჭოთა კავშირის ხალხთა დიდი მეგობრობა, რომელიც ჩვენი ქვეყნის ძალისა და ძლიერების ერთ-ერთი უშრეტი წყაროა.

საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობას მტკიცე საფუძველი ჩაუყარა, ახალი შინაარსი მისცა დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ. იგი საბჭოთა საზოგადოების მამოძრავებელ ძალად გაიშალა. ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს დამაარსებლის გენიალური ლენინის მიერ შექმნილმა ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და მეგობრობის იდეოლოგიამ გაიმარჯვა. საბჭოთა ქვეყნის ძმმა ხალხებმა შობლიური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის უანგარო დახმარებით დაძლიეს საუკუნეობრივი ჩამორჩენილობა და მიაღწიეს ყოველმხრივ მძლავრ აღმავლობას, ურთიერთთანამშრომლობასა და ნამდვილ მეგობრობას, ფაქტიურ თანასწორობას.

ავტორი გვიჩვენებს დიდი რუსი ხალხის ხელმძღვანელ ძალას, მის ისტორიულ როლს სსრ კავშირის ხალხთა დიად მეგობრობაში. რუსეთის მუშათა კლასმა მშრომელ გლეხობასთან მჭიდრო კავშირით გადამწყვეტი როლი შეასრულა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებაში, მის მონაპოვართა დაცვაში, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენებაში, საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის წარმატებით დამთავრებაში. დიდი რუსი ხალხი, როგორც ყველაზე გამოჩენილი ერი, წინ მიუძღვის ჩვენი ქვეყნის ხალხებს კომუნიზმის მშენებლობის დიად გზაზე.

სარეცენზიო ნაშრომში კარგად არის ნაჩვენები, რომ სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა იშვა და განმტკიცდა ჩვენი სამშობლოს ხალხთა ერთობლივ ბრძოლაში შინაურ და უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ, რომ ეს მეგობრობა შეადუღა საერთო შემოქმედებითმა შრომამ და ძმურმა ურთიერთდახმარებამ. ამ მეგობრობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სრული კომუნისტური საზოგადოების აშენების საქმეში.

სარეცენზიო ნაშრომი გვიჩვენებს საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის უდიდეს როლს ჩვენი საზოგადოების განვითარებაში.

საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა საბჭოთა წყობილებას აძლევს უმაგალითო ძალასა და სიმტკიცეს, უდიდეს უპირატესობას ბურჟუაზიულ წყობილებასთან შედარებით. სსრ კავშირის ხალხთა მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა ჩვენი ქვეყნის მძლავრი გარდამქმნელი ძალაა, მისი ძალისა და ძლიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა.

ავტორი ვრცლად ჩერდება საბჭოთა პატრიოტიზმის დახასიათებაზე, მის წარმოშობასა და განვითარებაზე, მის უდიდეს როლზე საბჭოთა ქვეყნის დაცვისა და წინსვლის საქმეში. საბჭოთა პატრიოტიზმს საფუძველი ჩაუყარა დიდმა ოქტომბრის რევოლუციამ. იგი ახალი, უმაღლესი ტიპის პატრიოტიზმია, საბჭოთა ადამიანის მაღალი მორალური თვისებაა. საბჭოთა პატრიოტიზმს საერთო არაფერი აქვს იმ „პატრიოტიზმთან“, რომელიც დამახასიათებელია ყველა ბურჟუაზიული ქვეყნისათვის — მხეცურ ნაციონალიზმთან, რასობრივი უთანასწორობის გრძნობებთან, საკუთარი და სხვა ქვეყნების ხალხთა დამონების მისწრაფებასთან.

საბჭოთა პატრიოტიზმის არსი მდგომარეობს ხალხის ღრმა ერთგულებაში თავისი საბჭოთა სამშობლოსადმი, ჩვენი ქვეყნის ყველა ერის მშრომელთა ძმურ თანამეგობრობაში.

ნაშრომში განხილულია მასალები ჩვენი ქვეყნის განვითარების, საბჭოთა ხალხის შრომისა და ბრძოლის ისტორიიდან.

ავტორი ვრცლად ახასიათებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ, ორგანიზატორულ როლს.

საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერებისა და უძლეველობის უმნიშვნელოვანესი წყარო, მსოფლიოში პირველი სოციალისტური საზოგადოების მშენებელი ხალხის დიდება, სიამაყე, ყველა მისი გამარჯვების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია დიადი კომუნისტური პარტია. ავტორი სწორად აღნიშნავს, რომ ყველაფერი, რითაც ამაყობს ჩვენი ხალხი, ის რაც საბჭოთა ქვეყანამ მოიპოვა, დაკავშირებულია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ, წარმმართველ, ორგანიზატორულ როლთან, პარტიისა და საბჭოთა ხალხის დიდი ბელადების ლენინისა და სტალინის სახელებთან.

ავტორი გვიჩვენებს, თუ რა უდიდეს ღონისძიებებს ახორციელებდა გენიალური ლენინისა და მისი საქმის განმგრძობის დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ბრძოლებში გამოწრთობილი კომუნისტური პარტია ჩვენი ქვეყნის გადაქცევისათვის მძლავრი სოციალისტური ინდუსტრიის ქვეყნად. ავტორი ხაზს უსვამს იმას, რომ კომუნისტური პარტიის პოლიტიკა საბჭოთა ხალხის სასიცოცხლო საფუძველია, რომ იგი ემყარება მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ყოვლისმძლე მოძღვრებას და რომ მარქსისტულ-ლენინური რევოლუციური იდეებით შეიარაღებულმა ჩვენმა პარტიამ უზრუნველყო პარტიისა და ხალხის მტრების ბოლომდე მხილება და განადგურება, სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის წლებში ქვეყნის მთელი ძალების მობილიზაცია შინაური კონტრრევოლუციისა და უცხოელ დამპყრობთა გასანადგურებლად და იმას, რომ კომუნისტური პარტია ამჟამად კომუნიზმის მშენებელ საბჭოთა ხალხს ლენინ—სტალინის უძლეველი დროშით წინ მიუძღვის ახალ-ახალი გამარჯვებებისაკენ.

ნაშრომში ნაჩვენებია, თუმცა მოკლედ, კრიტიკისა და თვითკრიტიკის როლი ჩვენი პარტიისა და საზოგადოების განვითარებაში.

სარეცენზიო ნაშრომს ნაკლოვანებებიც აქვს.

უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ საჭირო იყო ნაშრომში უფრო ვრცლად და საფუძვლიანად განხილულიყო კრიტიკისა და თვითკრიტიკის, როგორც ჩვენი საზოგადოების განვითარების ახალი, დიალექტიკური კანონზომიერების საკითხი. აუცილებელი იყო მისი ცალკე თავად გამოყოფა.

ავტორი სუსტად აშუქებს ისეთ აქტუალურ საკითხებს, როგორიც არის სოციალისტურ საზოგადოებაში არსებულ წინააღმდეგობათა თავისებურება, მუშათა და გლეხთა კავშირის შემდგომი განმტკიცება და მისი მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის განვითარებაში. ნაკლებად არის ნაჩვენები აგრეთვე სოციალისტური ერების არსი და მათი თავისებურებანი.

ამასთანავე ავტორი წერს: „ფაშისტური გერმანიისა და მისი სატელიტების წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის ომმა თავიდანვე საყოველთაო - სახალხო, სამართლიანი სამამულო ომის სახე მიიღო“ (გვ. 4). საჭირო იყო ავტორს აქვე ეჩვენებინა, რომ მეორე მსოფლიო ომმა ღერძის სახელმწიფოთა წინააღმდეგ თავიდანვე მიიღო ანტიფაშისტური, განმათავისუფლებელი ომის ხასიათი, რაც ღერძის სახელმწიფოთა წინააღმდეგ ომში საბჭოთა კავშირის ჩაბმამ კიდევ უფრო გააძლიერა.

ავტორი წერს: „წინააღმდეგ კაპიტალისტური წყობილებისა, ჩვენს ქვეყანაში წარმოების იარაღები წინააღმდეგობაში როდი არიან მომუშავეებისადმი, როგორც მათი ექსპლოატაციის საშუალებანი, არამედ, პირიქით, წარმოების იარაღები ყოველმხრივ უწყობენ ხელს წარმოების მუშაკთა უნარისა და შემოქმედებითი ძალების გამოვლინებას“ (გვ. 33).

აქ ავტორი ცდება. იგი მუშებსა და წარმოების იარაღებს შორის ეძებს რაღაც არარსებულ წინააღმდეგობას. კაპიტალიზმის დროს მუშების მტერია არა წარმოების იარაღები, არამედ მათი მეპატრონეები, მათი მფლობელები, მუშები წინააღმდეგობაში არიან არა წარმოების იარაღებთან, არამედ მათ მეპატრონეებთან, კაპიტალისტებთან მთლიანად.

მიუხედავად იმისა, რომ სარეცენზიო წიგნი დაწერილია კარგი ქართული ენით, მაინც ზოგან მაინც გვხვდება ენობრივი შეცდომები.

ი. ნატროშვილის წიგნი „საბჭოთა ქვეყნის ძალისა და ძლიერების წყაროები“ სწორ მეთოდოლოგიურ საფუძველზეა დაწერილი. იგი დაეხმარება მკითხველებს საბჭოთა საზოგადოების განვითარების აქტუალური საკითხების შესწავლაში.

**დოც. ვ. გამსახურდია.**

ი. ნატროშვილი. საბჭოთა ქვეყნის ძალისა და ძლიერების წყაროები. რედაქტორი თ. შავიშვილი. სახელგამი. 1954 წ. 278 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სადღეისო თემაზე

# დავიცვათ ნათესები ნანახედისაგან

სასიხარულო ცნობები მოდის საკოლმეურნეო სოფლიდან. მოწინავე კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები წარმატებით ამთავრებენ მიმდინარე სამეურნეო წელს. ბევრგან საშემოდგომო კულტურების ნათესებს კარგად უვლიან და დიდ მზრუნველობას იჩენენ მომავალი წლის ბარაქიანი მოსავლისათვის.

სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებაში — საკოლმეურნეო ცხოვრების ამ ძირითად კანონში — ხაზგასმულია საზოგადოებრივი საკუთრების დაცვის აუცილებლობა, დაუღალავი ზრუნვა კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის განუხრელი აღმავლობისათვის.

სამწუხაროდ, მთელი რიგი რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში არის შემთხვევები, რომ პირუტყვი აფუჭებს ნათესებს, განსაკუთრებით საშემოდგომო პურეულს, მდელოებს, თივის ზვინებს, აგრეთვე ვენახებს, ხილ-კენკრის, ჩაის, ციტრუსების და სხვ. ნარგავებს.

დუშეთის რაიონის მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში სასილოსე კულტურების ნათესის ერთი ნაწილი პირუტყვმა გაანადგურა. პირუტყვი აზიანებს კასპის რაიონის სოფელ სამთავისის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ხეხილის ბაღს.

ქიათურისა და საჩხერის რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებში ნაკლები ყურადღება ექცევა მრავალწლიანი ნარგავებისა და ნათესების დაცვას. კოლმეურნეობებში ვენახების, ბაღებისა და ჩაის პლანტაციების ნახევარიც არ არის შემოკავებული. ამის გამო პირუტყვი აფუჭებს ვაზს, ნათესებს. ამ მხრივ შეიძლება ქიათურის რაიონიდან დავასახელოთ სოფელ წირქვალის ჟდანოვის სახელობის, ზოდის სტალინის სახელობის, თვალუეთის მარქსის სახელობის, ხოლო საჩხერის რაიონიდან სოფელ სარეკის ვოროშილოვის სახელობის, მერჯევის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობები. ასეთი მდგომარეობის შესახებ „კომუნისტს“ სიგნალები მოსდის გალის, ქობულეთის, ხულოს და სხვა რაიონებიდან.

ნათესებისა და ნარგავების დაზიანების შედეგად კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დიდძალი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები აკლდებათ.

საკვირველია ის გულგრილობა, რასაც ნათესებისა და მრავალწლიანი ნარგავების დაცვისადმი იჩენენ დასახელებული რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები.

ნათესების, ხეხილის ბაღების, ვენახების, ჩაის, ციტრუსებისა და სხვა ძვირფასი ნარგავების გაფუჭება იმიტომ გახშირდა, რომ საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, კოლმეურნეობათა გამგეობები და საბჭოთა მეურნეობების დირექტორები უდარდელად ეკიდებიან საკოლმეურნეო და სახელმწიფო საკუთრების დაცვას.

ასეთ არანორმალურ მდგომარეობას ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოეღოს ბოლო. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მეცხოველეობის ფერმების, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელთა და საკოლმეურნეო სოფლის ყველა მშრომელის ღვიძლი საქმეა გულმოდგინედ მოაწყონ ნათესებისა და მრავალწლიანი ნარგავების დაცვა გაფუჭებისაგან, მთელი ძალით იბრძოლონ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის. სასტიკი პასუხი უნდა მოეთხოვოთ იმ პირებს, რომლებსაც ბრალი მიუძღვით სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრების დატაცებაში.

საზოგადოებრივი მეურნეობა კოლმეურნეობათა ძლიერებისა და კოლმეურნეთა კეთილდღეობის საფუძველია. ფხიზლად ვიდგეთ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის სადარაჯოზე!

# ახალი პროგრესული მეთოდით






წალკა. (სპეც. კორ.). რაიონის მოწინავე კოლმეურნეობებმა წელს ფართოდ დანერგეს ბოსტნეული კულტურების მოსავლიანობის გადიდების ისეთი პროგრესული ღონისძიება, როგორიც არის ნეშომპალის ქოთნებში ბოსტნეულის ჩითილის გამოყვანა. ამ მხრივ აღსანიშნავია სოფელ აშკალის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე გ. ანდრიასიანი) მუშაობა. აქ წელს ნეშომპალის ქოთნებში გამოყვანილი კომბოსტოს ჩითილი კვადრატულად დარგეს 8 ჰექტარზე.

გამოირკვა, რომ ქოთნებში გამოყვანილმა ჩითილმა მინდვრად გადარგვისას ფესვთა სისტემა მთლიანად შეინარჩუნა, მაშინ როცა კვალსათბურებიდან ჩითილის მიწიანად ამოღების დროსაც ფესვთა სისტემის შემწოვი ბუსუსები 80 პროცენტით წყდება და იკარგება.

ქოთნებში გამოყვანილმა ჩითილმა კოლმეურნეობას საშუალება მისცა მოსავალი ადრე და მეტი მიეღო.

მებოსტნეობის იმ რგოლმა, რომელსაც გიორგი ხაჩატურიანი ხელმძღვანელობს, ჰექტარზე საშუალოდ მიიღო 400 ცენტნერი კომბოსტო, გეგმა კი 180 ცენტნერს ითვალისწინებდა. პირადად მერგოლურმა მოსავლელად მიჩენილ 1 ჰექტარზე 700 ცენტნერი კომბოსტო მიიღო და ამით გეგმას 520 ცენტნერით გადააჭარბა. კომბოსტოს ზოგი თავი 10-12 კილოგრამს იწონის.

სოფელ აშკალის კოლმეურნეობაში წელს პირველად 160 ჰექტარზე დარგეს კარტოფილი კვადრატულ-ბუდობრივად. შედეგიც საამაყოა. ამ ახალი პროგრესული მეთოდით დარგული ფართობის ყოველ ჰექტარზე მიიღეს 250-300 ცენტნერი კარტოფილი, ხოლო ჩვეულებრივ დარგულზე — 120-150 ცენტნერი.

კოლმეურნეობამ უკვე დაიწყო კარტოფილის ავანსად გაცემა შრომადღეებზე. თვითეულ შრომადღეზე კოლმეურნეები ავანსად იღებენ 4 კილოგრამ კარტოფილს.

სოფელ გუმბათის კოლმეურნეობაში წელს კვადრატულ-ბუდობრივად დარგეს კარტოფილი და მოსავალი ერთნახევარჯერ მეტი მიიღეს ჩვეულებრივი წესით დარგულთან შედარებით.

**სურათზე:** 1. სოფელ აშკალის კოლმეურნეობის წევრები ტვირთავენ მანქანას ახალი მოსავლის კომბოსტოთი; 2. გუმბათელი კოლმეურნეები მუშაობენ სათესლე კარტოფილის შერჩევაზე.

ფოტო ვ. გინზბურგისა

# ღამის ცვლა ასურეთის მტს-ის მოწინავე სატრაქტორო ბრიგადაში

მინდვრად გასვლის პირველი დღიდან ასურეთის მტს-ის იმ სატრაქტორო ბრიგადამ, რომელსაც ა. დალაქიშვილი ხელმძღვანელობს, წესად შემოიღო ყოველი ცვლის მუშაობის დამთავრების შემდეგ ტრაქტორების პროფილაქტიკური გასინჯვა.

დღესაც ბრიგადირი გვიან საღამოს ამოწმებდა ტრაქტორების მზადყოფნას ღამის ცვლისათვის. ახალგაზრდა ტრაქტორისტს მ. მატინოვს მუშაობა დაემთავრებინა, გ. დალაქიშვილი კი ღამის ცვლისათვის ემზადებოდა. მას ტრაქტორი უნდა მიეღო, შეემოწმებინა და წესრიგზე მოეყვანა.

— როგორ არის საქმე? — შეეკითხა ტრაქტორისტ მ. მატინოვს ბრიგადირი.

— ყველაფერი რიგზეა, მაგრამ თქვენ ხომ მაინც უნდა შეამოწმოთ.

— აუცილებლად, — უპასუხა ა. დალაქიშვილმა და ყურადღებით დაუწყო ტრაქტორს დათვალიერება.

შეამოწმა ძრავის მუშაობის ყველა დეტალი, გასინჯა განათების წინა და უკანა ფარები, რაც ღამით ნორმალური მუშაობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. ბრიგადირმა ასევე ყურადღებით შეამოწმა სხვა ტრაქტორები და განკარგულება გასცა, რომ ტრაქტორებთან საწვავი, საცხები და წყალი მიეზიდათ.

ბრიგადირს საველე სადგომში მტს-ის აგრონომი დახვდა. მათ შეაჯამეს დღის ცვლის მიერ გაწეული მუშაობა. აღმოჩნდა, რომ ხვნაზე მომუშავე ორ ტრაქტორს 11 ჰექტარი მოეხნა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8 ჰექტარისა, ასევე გადაჭარბებით შეესრულებინა ნორმა სამ სხვა ტრაქტორს.

— დღის ცვლამ კარგად იმუშავა, ღამის ცვლამ თუ არ გვიმტყუნა, დავალება შესრულებული იქნება, — თქვა აგრონომმა.

— არ გვიმტყუნებენ! — გაბედულად წარმოთქვა ბრიგადირმა.

ა. დალაქიშვილი თავის ტრაქტორისტებში მტკიცედ არის დარწმუნებული. ის კარგად იცნობს ტრაქტორისტებს ი. ავგაროზაშვილს, ა. ღალათაშვილს, ვ. დალაქიშვილს და გ. ფარადაშვილს, რომლებიც ტრაქტორის მართვის საუკეთესო ოსტატები არიან.

ბრიგადის სიამაყეს „დტ-54“ მარკის ტრაქტორი წარმოადგენს. ამ ტრაქტორს მართავენ ახალგაზრდები მ. მატინოვი და გ. დალაქიშვილი, რომლებიც ცვლის ნორმებს სისტემატურად 110-120 პროცენტით ასრულებენ. მარტო საშემოდგომოდ მათ 200-ზე მეტი ჰექტარი მოხნეს და 170 ჰექტარი ათესეს.

მინდორი სიბნელეს მოეცვა. შემოდგომის ღამის მყუდროებას მხოლოდ ტრაქტორების გუგუნი არღვევდა. ბრიგადირი საველე სადგომიდან ტრაქტორებისკენ გაემართა. ტრაქტორმა, რომელსაც გ. დალაქიშვილი მართავდა, ბრიგადირის წინ გაიარა. გუთანი თანაბარი ზომის ბელტებს ერთმანეთზე აწყობდა და ისარივით სწორ კვალს ტოვებდა. ბრიგადირმა ხვნის სიღრმე გაზომა, კმაყოფილი დარჩა, ტრაქტორს დაეწია და მძღოლი ერთხელ კიდევ გააფრთხილა, ხვნის სიღრმეს არ მოუკლოო. შემდეგ ბრიგადირმა სხვა ტრაქტორების მუშაობაც შეამოწმა. მთელ ღამეს ხუთივე ტრაქტორი შეუფერხებლად მუშაობდა. განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია ტრაქტორისტმა ა. ღალათაშვილმა, რომელმაც 6 ჰექტარი მოხნა ნაცვლად 4 ჰექტარისა.

ღამის ცვლამ დავალება წარმატებით გაანაღდა. ბრიგადამ კი ხვნისა და თესვის გეგმა ვადაზე რამდენიმე დღით ადრე შეასრულა, ხორბალი ჯვარედინად დათესა 580 ჰექტარზე.

დალაქიშვილის ბრიგადის ამ წარმატების საფუძველს იარაღ-მანქანების რაციონალურად გამოყენება და ბრიგადაში შრომის სწორი ორგანიზაცია წარმოადგენს.

**რ. დავითური,**
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

# წერილები რედაქციას

## შევქმნათ კულტურის სახლების, კლუბებისა და ბიბლიოთეკების ტიპური პროექტები

საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ძირფესვიანად შეიცვალა ჩვენი სოციალისტური სოფელი. საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვების შემდეგ მკვეთრად ამაღლდა მისი კულტურა.

ჩვენი რესპუბლიკის თითქმის ყველა სოფელში აშენდა ან შენდება საკოლმეურნეო და სასოფლო კლუბი, ბიბლიოთეკა და კულტურის სახლი. ბევრი მათგანი კარგად არის აშენებული და მოწყობილი. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მახარაძის რაიონის მელექედურის და ძიმითის სასოფლო კლუბები. მაგრამ ყველგან ასეთი მდგომარეობა როდია. ზოგჯერ ათვალიერებ კულტურულ ნაგებობებს და გული გწყდება, რომ დიდი თანხები დახარჯულა, შრომა გაწეულა და ყველაფერი შესრულებულია დაბალხარისხოვნად, უგემოვნოდ და, რაც მთავარია, არადანიშნულებისამებრ. მაგალითად, ავიღოთ ისეთი შესანიშნავი საკოლმეურნეო ნაგებობა, როგორიც არის მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის და ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის კლუბები. აქ მთელი ყურადღება მიუქცევიათ დარბაზის გაფორმებისა და მოწყობისათვის და რატომღაც გამოუშვიათ მხედველობიდან სცენის მოწყობა. ჯერ-ერთი, სრულებით არ არის სცენისათვის დამხმარე ოთახები, გათვალისწინებული არ არის განათება გვერდებიდან. სცენას ბევრი ფანჯარა აქვს, რაც სრულიად ზედმეტია. ასეთი ფაქტები უამრავია.

სჩანს პროექტის ავტორებს და მშენებლებს ყურადღება არ მიუქცევიათ დარბაზისა და სცენის სპეციფიკისათვის. ასეთი მშენებლობა დაუშვებლად მიგვაჩნია.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ უნდა შექმნას კულტურის სახლების, კლუბებისა და ბიბლიოთეკების ტიპური პროექტები და არ დაუშვას სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების თვითნებური მშენებლობა.

ვფიქრობ, ამ საკითხს ჯეროვანი ყურადღება მიექცევა.

**მ. ხინიკაძე,**
საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი.

## რატომ გაჭიანურდა რემონტი?

ლენინგორის რაიონის ორხოსნის 8-წლიანი სკოლის შენობის კაპიტალური რემონტისათვის ჯერ კიდევ სასწავლო წლის დამთავრებამდე გამოყოფილ იქნა 44.000 მანეთი. მაგრამ ლენინგორის რაისაბჭოს აღმასკომის სამშენებლო კანტორა, რომელსაც რემონტის ჩატარება მიენდო, დღემდე სამარცხვინოდ აჭიანურებს სამუშაოს. ზამთარი კარზეა მომდგარი, სკოლის შენობას კი კარები არა აქვს, სახურავი უხარისხოდ შეაკეთეს, წვიმის დროს მრავალ ადგილას ჩამოდის წყალი. უხარისხოდ შეაკეთეს აგრეთვე საკლასო ოთახები, ნაჩქარევად შეთეთრებულ კედლებს რემონტის კვალიც არ ატყვია.

სამშენებლო კანტორამ კაპიტალური რემონტისათვის გათვალისწინებული თანხიდან მხოლოდ 10 ათასი მანეთი აითვისა და სკოლის რემონტი დამთავრებულად ჩათვალა. რაიონის განათლების განყოფილების გამგე მ. გაბარაევი მოითხოვდა ხელი მოეწერა აქტზე, რომელიც რემონტის დამთავრების შესახებ ყალბად შეადგინეს.

გაჭიანურებული რემონტის შესახებ სკოლის დირექციამ წერილობით აცნობა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს. სამინისტრომ პასუხი მოითხოვა ოლქის განათლების განყოფილებიდან. ოლქის განათლების განყოფილების გამგემ ნ. მედოევამ განათლების სამინისტროს აცნობა, რომ ორხოსნის სკოლას რემონტი თითქოს უკვე გაუკეთდა და იგი მზად იყო მეცადინეობის დაწყებისათვის.

უსაქმური მიწერ-მოწერა გრძელდება, ხოლო სკოლის რემონტი დანაშაულებრივად ჭიანურდება.

**გ. კოტლიაროვი,**
ლენინგორის რაიონის ორხოსნის 8-წლიანი სკოლის დირექტორი.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

## „აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი სავაჭრო ქსელში, კულტურულად მოვემსახუროთ მომხმარებლებს“

„კომუნისტის“ 8 ოქტომბრის ნომერში ამ სათაურით დაბეჭდილ წერილში მხილებული ნაკლოვანებები მთლიანად დადასტურდა. როგორც აჭარის ასსრ ვაჭრობის მინისტრი ამხ. ზ. შარაშიძე გვატყობინებს, ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად მიღებულია მთელი რიგი ღონისძიებანი: ბათუმის სასადილოების ტრესტის № 51 სასაუზმის მებუფეტე ა. შაუმიანს და ამავე სისტემის № 32 სასაუზმის ნებუფეტე ვ. კიკაბიძეს მკაცრი დისციპლინარული სასჯელი დაედოთ. მიმტანი გ. პეტროსიანი და აჭარვაჭრობის № 57 მაღაზიის გამყიდველი მ. არონოვა მოხსნილი არიან სამუშაოდან. დისციპლინარული სასჯელი დაედოთ მაღაზიის მუშაკებს ვ. ბიბილეიშვილს, კ. რაბინოვიჩს, ს. გუთიაშვილს და ნ. დათუნაშვილს, ხოლო № 91 მაღაზიის სექციის გამგე ქ. კვაჭაძე და აჭარვაჭრობის რევიზორ-ბუხჰალტერი ა. დოლიძე მოიხსნენ სამუშაოდან და მიცემული არიან პასუხისგებაში.

სამინისტროს კოლეგიის სხდომამ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი ვაჭრობის წესების ზუსტად დაცვის უზრუნველსაყოფად.

# შემოქმედებითად გამოვიყენოთ ნოვატორ მალცევის მეთოდი

კურგანის ოლქის შადრინსკის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ მემინდვრემ, ამავე კოლმეურნეობასთან არსებული საცდელი სადგურის დირექტორმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა ტერენტი მალცევმა მის მიერ შემუშავებული მიწათმოქმედების სისტემით მთელი ჩვენი ქვეყნის მეცნიერთა, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მუშაკთა ყურადღება მიიქცია.

კოლმეურნე მეცნიერის ტ. მალცევის მიერ იმიერურალის პირობებში შემუშავებული მიწათმოქმედების სისტემა წარმოადგენს ისეთ პროგრესულ ღონისძიებათა ერთობლიობას, რომლებიც ახლებურად აყენებენ ნიადაგის მტკიცე კოშტოვანი სტრუქტურის დაცვისა და შექმნის, მიწის ეფექტიანი ნაყოფიერების მიზანშეწონილად გამოყენებისა და გადიდების საკითხებს.

ტ. მალცევის მიერ შემუშავებული მიწათმოქმედების სისტემის მთავარ არსს წარმოადგენს ერთწლიანი მცენარეების დადებითი როლის დასაბუთება და მრავალწლიანი ბალახების გაბატონებული როლის უარყოფა ნიადაგის ორგანული ნივთიერებით, ნეშომპალით გამდიდრების, მტკიცე კოშტოვანი (წვრილმარცვლოვანი) სტრუქტურის შექმნისა და ნიადაგის ნაყოფიერების გადიდების საქმეში. აგრონომიული მეცნიერების ისტორიაში პირველად კოლმეურნე მეცნიერმა ტ. მალცევმა დაასაბუთა, რომ ერთწლიან მცენარეებს უნარი აქვთ აამაღლონ ნიადაგის ნაყოფიერება. მართალია, მრავალწლიან ბალახებს საერთოდ აქვთ ნიადაგზე დადებითი გავლენის მოხდენისა და ნაყოფიერების გადიდების დიდი უნარი, მაგრამ მთელ რიგ პირობებში ერთწლიანი მცენარეების მიერ ნიადაგის ნაყოფიერების გადიდების უნარი, როგორც ეს მალცევმა დაამტკიცა, მნიშვნელოვნად სჭარბობს მრავალწლიანი ბალახების გავლენას ნიადაგის ნაყოფიერების გადიდებაზე.

ამხ. ტ. მალცევი პრაქტიკული მონაცემების საფუძველზე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მცენარეების დაყოფა ნიადაგის ორგანული ნივთიერებით გამამდიდრებელ და გამღარიბებელ, ნაყოფიერების აღმდგენ და დამრღვევ მცენარეებად არ არის სწორი. ყველა მცენარე, როგორც ერთწლიანი, ისე მრავალწლიანი, იმაზე მეტ ორგანულ ნივთიერებას ტოვებს ნიადაგში ვიდრე თვითონ საჭიროებს თავისი ზრდა-განვითარებისათვის, და კი არ ფიტავს ნიადაგს, არამედ ამდიდრებს მას. სრულიად ახალ დასკვნას აკეთებს ტ. მალცევი, როდესაც ამბობს, რომ რაც უფრო მაღალ მოსავალს ვიღებთ, მით უფრო ვადიდებთ ნიადაგის ნაყოფიერებას.

ტ. მალცევის მიერ შემუშავებულ მიწათმოქმედების სისტემაში ერთერთი მთავარია ის, რომ ნიადაგში ორგანული ნივთიერების, მოქმედი ნეშომპალის დაგროვებისა და მტკიცე კოშტოვანი სტრუქტურის წარმოქმნის პროცესის სიძლიერე განისაზღვრება არა ერთწლიანი თუ მრავალწლიანი ბალახების რაღაც განსაკუთრებული ბიოლოგიური თვისებებით, არამედ ნიადაგში მცხოვრებ მიკროორგანიზმთა ცხოველმყოფელობის თვისებრივი ხასიათით და მიმართულებით. ამ მიკროორგანიზმთა მოქმედების მართვა შესაძლებელია ნიადაგის სახნავი ფენისა და ატმოსფერული ჟანგბადის ურთიერთობის მოწესრიგებით, ამის საშუალებას კი იძლევა ნიადაგის დამუშავების ისეთი სისტემის გამოყენება, რომელიც არ გამოიწვევს ნიადაგში მიმდინარე მიკრობიოლოგიური პროცესების მკვეთრად შეცვლას.

ტ. მალცევმა აღმოაჩინა, რომ ერთწლიანი და მრავალწლიანი მცენარეების ზრდა-განვითარების მთელ მანძილზე ნიადაგში ერთდროულად მიმდინარეობს ერთმანეთისადმი დაპირისპირებული ორი პროცესი — ორგანული ნივთიერების დაგროვების და სტრუქტურის წარმოქმნისა და დაშლის პროცესი. ამასთან ორგანული ნივთიერების დაგროვებას და სტრუქტურის წარმოქმნას ვხვდებით მცენარეთა აქტიური ცხოველმყოფელობის პერიოდში, ე. ი. მანამდე, სანამ ნიადაგის სახნავი ფენის სიღრმეში შეზღუდულია ჰაერის შესვლა; ხოლო მას შემდეგ, როცა მცენარეები ამთავრებენ ზრდა-განვითარებას, გასაქანი ეძლევა ჰაერის შესვლას ნიადაგში, ვითარდება აერობული პროცესები და იწყება ნეშომპალისა და ნიადაგის სტრუქტურის დაშლა. გამოდის, რომ საჭიროა ისეთი აგროტექნიკის შემუშავება, რომლის საშუალებით შესაძლებელი იქნება ნიადაგის სახნავი ფენის სიღრმეში ანაერობული (უჰაერო) პროცესების შენარჩუნება, ე. ი. ნიადაგის სტრუქტურის დაცვა. ამ შემთხვევაშიც საკითხი შეეხება ნიადაგის მასაში ჰაერის შესვლის შეზღუდვას, ე. ი. იმას, თუ როგორი დაშლის პირობებში ჩავაყენებთ მცენარეების მიერ შექმნილ ორგანულ ნივთიერებას.

ამ საფუძველზე ამხ. მალცევმა შეიმუშავა ნიადაგის დამუშავების ახალი სისტემა — ნიადაგის ღრმად მოხვნა ბელტის გადაუბრუნებლად 40-50 სანტიმეტრ და უფრო მეტ სიღრმეზე 3-4 წელიწადში ერთხელ, ხოლო ამ ღრმად ხვნათა შორის პერიოდში ნიადაგის აჩეჩვა დისკოებიანი იარაღებით 7-8 სანტიმეტრ სიღრმეზე და თესვა მოუხნავად, აჩეჩილ ნაწვერალზე. ბელტის გადაუბრუნებლად ნიადაგის 3-4 წელიწადში ერთხელ ღრმად გაფხვიერებით და მოუხნავ, აჩეჩილ ნაწვერალზე თესვის შემოღებით ამხ. მალცევი აღწევს ნიადაგის სახნავი ფენის სიღრმეში ჰაერის შეჭრის შეზღუდვას და ანაერობული პროცესების შენარჩუნებას, ამის შედეგად კი ნიადაგის სტრუქტურის დაცვას და ნაყოფიერების გადიდებას.

ნიადაგის დამუშავების ახალ სისტემას ამხ. მალცევი იყენებს 4-5-მინდვრიან თესლბრუნვებში, სადაც თვითეული მინდორი 4-5 წელიწადში გაივლის სანეულო დამუშავებას შემდეგი სქემით: შემოდგომაზე ნაწვერალის აჩეჩვა დისკოებიანი იარაღებით, ადრე გაზაფხულზე დაფარცხვა ტენის შესანარჩუნებლად, სარეველების წამოზრდისთანავე მოსპობა დისკოებიანი საჩეჩებით, ივნისის დასაწყისში მოხვნა უფრთო გუთნით 40-50 სანტიმეტრ და უფრო მეტ სიღრმეზე ზედმოყოლებული დაფარცხვით. ამასთან სარეველების წამოზრდის მიხედვით ხდება აოშვა დისკოებიანი იარაღებით; აგვისტოში ტარდება მეორე ღრმა ხვნა პირველადი მოხვნის გარდიგარდმო მიმართულებით და იმავე სიღრმეზე ზედმოყოლებული დაფარცხვით; სარეველების წამოზრდის შემთხვევაში ისევ ტარდება აოშვა დისკოებიანი იარაღებით. ადრე გაზაფხულზე წარმოებს დაფარცხვა და სარეველების წამოზრდის შემდეგ თესვისწინა დამუშავება მალცევის კონსტრუქციის კბილებიანი ფარცხით. ასეთი წესით ანეულის დამუშავების შემდეგ ნიადაგი არ იხვნება მომდევნო სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის 3-4 წლის განმავლობაში, არამედ მუშავდება დისკოებიანი იარაღებით. მოსავლის აღების შემდეგ ხდება ორჯერ აჩეჩვა — პირველად მოსავლის აღებისთანავე, ხოლო მეორედ — შემოდგომაზე, გარდიგარდმო. ადრე გაზაფხულზე წარმოებს დაფარცხვა და თესვის წინ ნიადაგის დამუშავება დისკოებიანი იარაღებით.

ნიადაგის ამ წესით დამუშავება თესლბრუნვის დროს საშუალებას იძლევა ყველა მინდორი თანმიმდევრულად გავასუფთაოთ სარეველებისაგან, სახნავი ფენა ვიქონიოთ კულტურულ მდგომარეობაში, დავაგროვოთ ტენი, ხელი შევუწყოთ სასარგებლო მიკრობიოლოგიური პროცესების დაცვას, არ გამოვიწვიოთ ნეშომპალისა და ნიადაგის სტრუქტურის დაშლა.

ამხ. მალცევმა ნიადაგის დამუშავების ახალი სისტემის განხორციელებისათვის მნიშვნელოვანი კონსტრუქციული ცვლილებები შეიტანა გუთნების, ფარცხებისა და ზოგიერთი სხვა იარაღის სამუშაო ორგანოებში. საბჭოთა კონსტრუქტორებმა ამხ. მალცევის მითითებათა მიხედვით უკვე შექმნეს უფრთო და უწინასახნისო გუთნის, თათებიანი და კბილებიანი ფარცხების პირველი ნიმუშები. ახლა წარმოებს მათი შემდგომი გაუმჯობესება.

ისევე, როგორც საბჭოთა კავშირის მთელ რიგ რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში, ჩვენს რესპუბლიკაშიც გადადგმულ იქნა ერთგვარი ნაბიჯები ტ. მალცევის მეთოდის შესწავლისა და დანერგვისათვის. მაგალითად, ამ შემოდგომისათვის გათვალისწინებული იყო საშემოდგომო ხორბლის თესვა 1.000 ჰექტარზე სათოხნი კულტურებისაგან განთავისუფლებული ნაკვეთების მოუხნავად მათი აჩეჩვის შემდეგ. დაგეგმილია აგრეთვე მზრალად ხვნა 800 ჰექტარზე საგაზაფხულო კულტურებისათვის უფრთო გუთნებით, საგაზაფხულო ანეულების მოხვნა ღრმად, უფრთო გუთნებით 400 ჰექტარზე და საშემოდგომო ანეულის მოხვნა ღრმად უფრთო გუთნებით 100 ჰექტარზე. ამასთან სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებს დაევალათ ღრმად შეისწავლონ მალცევის მიერ რეკომენდებული სისტემა ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა ბუნებრივ-კლიმატური პირობებისათვის და შეიმუშაონ მისი ათვისების კონკრეტული ღონისძიებები. სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაკთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა ვალია განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საცდელი ხასიათის სამუშაოებს, დაეხმარონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მალცევის შესანიშნავი მეთოდის შემოქმედებითად, ადგილობრივი პირობების სათანადოდ გათვალისწინებით გამოყენებაში.

როგორც ცნობილია, ჩვენს რესპუბლიკაში ბუნებრივ-კლიმატური პირობების დიდი სხვადასხვაობაა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ვერტიკალური ზონალობის კანონზომიერებას, აქ საკმაოდ გამოინახება ისეთი ფართობები, სადაც პირდაპირ შეიძლება ამხ. მალცევის მეთოდის დანერგვა და ისეთი ფართობებიც, სადაც საჭირო იქნება მისი აგროტექნიკური ხერხების მნიშვნელოვანი ცვლილებებით ათვისება. ჩვენ გვაქვს ისეთი ზონები და ტენით იმდენად უზრუნველყოფილი რაიონები, სადაც უპირატესობა უნდა მივცეთ მრავალწლიან ბალახებს, მაგრამ გვაქვს ისეთი მცირენალექიანი და გვალვიანი რაიონებიც, სადაც ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენის საქმეში ფართოდ უნდა გამოვიყენოთ ერთწლიანი ბალახები.

მიწათმოქმედების ახალი სისტემის ათვისების დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ ამხ. ტ. მალცევს იმიერურალის პირობებში საქმე არა აქვს საშემოდგომო კულტურებთან, საგაზაფხულო სათოხნ კულტურებთან და ნათესების მწკრივთა შორის დამუშავების საჭიროებასთან. მას არ უხდება ნიადაგის მზრალად დამუშავება და სასუქების გამოყენება. არც კულტურულ მცენარეთა ასორტიმენტია ისეთი მრავალფეროვანი, როგორც ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებში, რაც იქ მნიშვნელოვნად განსაზღვრავს თესლბრუნვების მცირე მინდვრიანობას. ამასთან იმიერურალში წლიური ნალექების 90 პროცენტზე მეტი მოდის გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდზე, მაშინ როცა ნიადაგი მცენარეებით არის დაფარული და მათ არ შეუძლიათ უარყოფითი გავლენა მოახდინონ ნიადაგის სტრუქტურაზე. ჩვენში კი მთელ რიგ რაიონებში ნალექების დიდი ნაწილი მოდის შემოდგომა-ზამთრის ან ზამთარ-გაზაფხულის პერიოდზე და ამ დროს მათი გავლენა ნიადაგზე მეტად მნიშვნელოვანია. ყველა ეს თავისებურება გვავალებს არ დავუშვათ შაბლონი და დოგმატიზმი, რომელიმე ღონისძიების მექანიკურად გადმოტანა.

საქართველოში დიდი შესაძლებლობანი გვაქვს მიწათმოქმედების ახალი სისტემის შემოქმედებითად გამოყენებისა და განვითარებისათვის. ეს შესაძლებლობანი გაბედულად უნდა გამოვიყენოთ. ნიადაგის დამუშავებისა და თესვის ახალი სისტემის უნარიანად, სწორად გამოყენება გამოიწვევს მიწის ნაყოფიერების შემდგომ ამაღლებას და მოსავლიანობის მკვეთრად გადიდებას.

**დოცენტი დ. ცხომარია,**
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.

## ვ. ი. ლენინის მუზეუმი ბრატისლავაში

პრაღა, 11 ნოემბერი. (საქდესი). სლოვაკიელ მშრომელთა შორის დიდი სიყვარულით სარგებლობს ვ. ი. ლენინის მუზეუმი, რომელიც 10 თვის წინათ გაიხსნა ბრატისლავაში. ამ ხნის განმავლობაში მუზეუმში იყო 30 ათასზე მეტი კაცი. მუზეუმი დაათვალიერა აგრეთვე ბევრმა უცხოელმა დელეგაციამ.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 37-ე წლისთავის წინ ვ. ი. ლენინის მუზეუმი ბრატისლავაში ახალი ექსპონატებით შეივსო. მუზეუმთან გაიხსნა სამკითხველო დარბაზი.

ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის დაწყებულ ერთთვიურთან დაკავშირებით მუზეუმი მნიშვნელოვნად შეივსო ექსპონატებით, რომლებიც გვიჩვენებენ საბჭოთა კავშირში კომუნისტური მშენებლობის წარმატებებს, საბჭოთა კავშირის ძმურ დახმარებას სახალხო-დემოკრატიის ქვეყნებისადმი და მოგვითხრობენ საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკაზე.

## ხელი მოაწერეს ოქმს სსრ კავშირსა და საფრანგეთს შორის საქონლის ურთიერთმიწოდების შესახებ

პარიზი, 11 ნოემბერი. (საქდესი). დამთავრებული მოლაპარაკების შედეგად 10 ნოემბერს პარიზში ხელი მოაწერეს ოქმს სსრ კავშირსა და საფრანგეთს შორის საქონლის ურთიერთმიწოდების შესახებ 1954 წლის 1 ივლისიდან 1955 წლის 31 დეკემბრამდე.

ოქმი ითვალისწინებს საქონლის მიწოდების მნიშვნელოვან გადიდებას წინა წლებთან შედარებით.

საბჭოთა კავშირი საფრანგეთში შეიტანს ნავთობსა და ნავთობის პროდუქტებს, ანტრაციტს, ქვანახშირის პეკს, დახერხილ ხე-ტყეს, ცელულოზას, მარგანეცის მადანს, ბამბას და სხვა საქონელს.

საფრანგეთი სსრ კავშირს მიაწვდის შავი ლითონების ნაგლინს, ტყვიას, კაბელს, ხელოვნური აბრეშუმის ნართს, აბრეშუმისა და შალის ქსოვილებს, ხორცს, დაუფქვავ კაკაოს, ციტრუსოვანთა ნაყოფს და ზოგიერთ სხვა საქონელს. გარდა ამისა, საფრანგეთი საბჭოთა კავშირისათვის ააგებს სატვირთო გემებს და დაამზადებს ენერგეტიკულ ქვაბებსა და სხვა მოწყობილობას.

## იტალიის სენატში

რომი, 11 ნოემბერი. (საქდესი). იტალიის სენატი განიხილავს მთავრობის კანონპროექტს, რომელიც ნებას რთავს 1945 წლამდე აგებული სახლების მფლობელებს ბინის და საიჯარო ქირა ყოველწლიურად გაადიდონ 20 პროცენტით შემდგომ ექვს წელიწადში. ამრიგად, ახლანდელი ბინის ქირა 1960 წელს თითქმის ერთისამად გადიდდება.

კომუნისტი და სოციალისტი სენატორები ილაშქრებენ მთავრობის კანონპროექტის წინააღმდეგ. კომუნისტმა სენატორმა მონტანიანიმ სენატის თავმჯდომარეს მერძაგორას მოსთხოვა და მიაღწია იმას, რომ გამოექვეყნებინა პეტიცია, რასაც ხელს აწერს მილიონზე მეტი მოქალაქე, რომლებიც ილაშქრებენ ბინის ქირის გადიდების წინააღმდეგ.

როგორც სოციალისტმა სენატორმა ლოკატელიმ ხაზგასმით აღნიშნა, ეს კანონპროექტი რომ მოიწონონ, ხელფასის ნაწილი, რასაც მუშა ან მოსამსახურე ბინის ქირაში ხარჯავს, ერთისამად გადიდდებოდა ახლანდელთან შედარებით.

## ამერიკის სამხედრო ხომალდები ბეირუთის ნავსადგურში ჩავიდნენ

ბეირუთი, 11 ნოემბერი. (საქდესი). დღეს ბეირუთის ნავსადგურში ჩამოვიდა ხმელთაშუა ზღვის ამერიკის მე-6 სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდების ესკადრა 9 გემის შემადგენლობით; მათ შორის არიან ავიოსანი „კორალ სი" და მძიმე კრეისერი „დე მოინი".

ხომალდების ჩამოსვლისთანავე ავიოსნიდან აფრინდა თვითმფრინავთა დიდი ჯგუფი, რომელმაც ფრენა იწყო ლიბანის ტერიტორიის თავზე.

ამერიკის ესკადრა ბეირუთის ნავსადგურში დაჰყოფს ხუთ დღეს.

# გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეცხრე სესია

## პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 11 ნოემბერი. (საქდესის სპეც. კორ.). გუშინ პოლიტიკური კომიტეტის დილის სხდომაზე გრძელდებოდა საერთო დისკუსია მშვიდობიანი მიზნებით ატომის ენერგიის გამოყენების საკითხზე. სამხრეთ აფრიკის კავშირის, ფილიპინების, ახალი ზელანდიისა და ავსტრალიის წარმომადგენლებმა, რომლებიც ამ სხდომაზე გამოვიდნენ, მხარი დაუჭირეს ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საერთაშორისო სააგენტოს შექმნისა და მეატომე მეცნიერთა სპეციალური ტექნიკური კონფერენციის მოწვევის იდეას.

სამხრეთ აფრიკის კავშირის დელეგატმა მწუხარება გამოთქვა იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის მოლაპარაკებამ ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საკითხზე ჯერჯერობით ვერ მოიტანა დადებითი შედეგები. მაგრამ ეს ფაქტი, თქვა სამხრეთ აფრიკის კავშირის წარმომადგენელმა, განხილულ უნდა იქნას მხოლოდ როგორც ფრთხილი მიდგომის დადასტურება და არა როგორც საბოლოო შედეგი. მან მოუწოდა ყველა დაინტერესებულ სახელმწიფოს ეცადონ მიაღწიონ საერთო შეთანხმებას განსახილველ საკითხზე.

ფილიპინების წარმომადგენელმა რომულომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა მაქსიმალურად მჭიდროდ იქნას დაკავშირებული მთელი მუშაობა ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან.

ფილიპინების დელეგატმა მოიყვანა მ. ზ. საბუროვის სიტყვები 1954 წლის 6 ნოემბერს საზეიმო სხდომაზე მისი მოხსენებიდან მშვიდობიანი მიზნებით ატომის ენერგიის გამოყენების საქმეში სსრ კავშირის წარმატების შესახებ და კერძოდ, სსრ კავშირში მსოფლიოში პირველი ელექტროსადგურის ამუშავების შესახებ, რომელიც ატომის ენერგიით მუშაობს. ფილიპინების დელეგატმა იმედი გამოთქვა, რომ საბჭოთა კავშირი თავის წვლილს შეიტანს მშვიდობიანი მიზნებით ატომის ენერგიის გამოყენების განსახილველი გეგმის განხორციელებაში.

ახალი ზელანდიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ნავარაუდევი საერთაშორისო სააგენტოს ამოცანები პირველ ხანებში პრაქტიკული მოსაზრებით მცირე უნდა იყოს—ინფორმაციის გაცვლა, სპეციალისტების მომზადება, ხოლო უფრო გვიან მეცნიერული მიზნებისათვის ატომის რეაქტორების მშენებლობა.

გუშინდელ სხდომაზე გამოსულმა დელეგატებმა, ისევე როგორც წარმომადგენელთა უმრავლესობამ, რომლებმაც აზრი გამოთქვეს განსახილველ საკითხზე უფრო ადრე, დუმილით აუარეს გვერდი იმ ფაქტს, რომ მშვიდობიანი მიზნებით ატომის ენერგიის გამოყენების გადიდება გარანტია ვერ იქნება მასობრივი მოსპობის იარაღის წარმოების გადიდების წინააღმდეგ, თუ ეს იარაღი არ აიკრძალა.

## დამთავრდა იოსიდას მოლაპარაკება ვაშინგტონში

ვაშინგტონი, 11 ნოემბერი. (საქდესი). გუშინ დამთავრდა მოლაპარაკება იაპონიის პრემიერ-მინისტრ იოსიდასა და ამერიკის მთავრობის ხელმძღვანელებს შორის. მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა და იოსიდამ გამოაქვეყნეს ერთობლივი კომუნიკე. როგორც ამ კომუნიკედან ჩანს, ვაშინგტონში იოსიდას მოლაპარაკების დროს ბევრ საკითხს შეეხნენ: განიხილეს პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიური პრობლემები. ეიზენჰაუერისა და იოსიდას მოლაპარაკებას წინ უძღოდა იაპონია-ამერიკის სამი კვირის წინასწარი მოლაპარაკება, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სახელმწიფო დეპარტამენტის და იაპონიის მთავრობის წარმომადგენლებმა.

ერთობლივი კომუნიკე, რომელსაც მეტად ზოგადი და ბუნდოვანი ხასიათი აქვს, არაფერს ამბობს მოლაპარაკების დროს მიღწეულ კონკრეტულ შეთანხმებებზე. კომუნიკე შეიცავს ამერიკის შეერთებული შტატების დაპირებას „განაგრძონ განხილვა" იაპონიის ეკონომიკისათვის ხელის შეწყობის საშუალებებისა.

კომუნიკეში ნათქვამია, რომ იაპონია მზად არის ითანამშრომლოს ამერიკის შეერთებულ შტატებთან და „აზიის თავისუფალ ქვეყნებთან" (ბურჟუაზიული პროპაგანდა ასე უწოდებს აზიის მარიონეტულ რეჟიმებს. — რედ).

როგორც კომუნიკედან ჩანს, იაპონიისათვის არახელსაყრელი სულისკვეთებით განიხილეს, თუ რა წესით მიეყიდოს იაპონიას ამერიკის ნამეტი სასოფლო-სამეურნეო საქონელი. კომუნიკეში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ „ამ გაყიდვით მიღებული შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი" იაპონიის ხელახლა შეიარაღების მიზნებს მოხმარდება. მოლაპარაკების შედეგად დაკმაყოფილებული არ არის იაპონიის თხოვნა, რომ შეერთებულმა შტატებმა აუნაზღაურონ მას ზარალი, რომელიც მიაყენა წყნარი ოკეანის რაიონში წყალბადის ბომბების გამოცდამ, აგრეთვე მოთხოვნა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეწყვიტონ იაპონიის ახლოს წყალბადის ბომბების გამოცდა. კომუნიკე გამოთქვამს ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა მხოლოდ „მწუხარებას" „მარტის ინციდენტის გამო, რომლის დროსაც დაზარალდა 23 იაპონელი მებადური— ერთი მათგანი მოკვდა — წყნარ ოკეანეში ატომის გამოცდის შემდეგ რადიაქტიური მასალის ვარდნის გამო".

საბოლოოდ არ გადაუწყვეტიათ საკითხი, თუ რა ბედი ეწევა იაპონიის აქტივებს, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებშია, და სხვა დიდმნიშვნელოვანი საკითხები.

როგორც ერთობლივი კომუნიკედან შეიძლება ვივარაუდოთ, არ გამართლდა იაპონიის მთავრობის იმედი, რომ ვაშინგტონის მოლაპარაკების შედეგად იგი გამონახავდა რეალურ გზებს პოლიტიკური, ეკონომიური და ფინანსური სიძნელეების დასაძლევად, რომლებსაც იაპონია ახლა განიცდის.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ტოკიოელი კორესპონდენტი წერს, რომ ოპოზიციამ იაპონიაში „გაილაშქრა" ეიზენჰაუერისა და იოსიდას ერთობლივი განცხადების წინააღმდეგ, მიაჩნია რა, რომ იგი შედგება „ფუჭი ფრაზებისაგან", რომლებიც, ოპოზიციის სიტყვით, მოწმობენ იოსიდას მისიის „სრულ ჩაშლას".

გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის" ვაშინგტონელი კორესპონდენტის სიტყვით, „საბოლოო შეთანხმება ჯერ კიდევ არ არის მიღწეული" იოსიდას მოლაპარაკების ძირითად საკითხზე — იმ იენების გამოყენების საკითხზე, რომლებსაც მიიღებენ ამერიკის ნამეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვით.

შანხაი, 11 ნოემბერი. (საქდესი). როგორც ტოკიოს რადიო გადმოგვცემს, ამერიკა-იაპონიის ერთობლივ კომუნიკეს იაპონიის საზოგადოებრიობა ფართო კომენტარს უკეთებს. მას „უმკაცრესად აკრიტიკებენ" ოპოზიციური პარტიები.

იაპონია-ამერიკის ერთობლივი კომუნიკეს გამოქვეყნება, განაცხადა იაპონიის მემარცხენე სოციალისტური პარტიის წარმომადგენელმა სატომ, იმას ნიშნავს, რომ „იაპონია-ამერიკის მოლაპარაკება ჩაიფუშა".

როგორც ტოკიოს რადიო აღნიშნავს, იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ზოგიერთ წრეებს, აგრეთვე მთავრობის წარმომადგენელთა ნაწილს მიაჩნიათ, რომ იაპონია-ამერიკის მოლაპარაკებას „სათანადო შედეგები არ მოჰყოლია". გაზეთ „ციუბუ ნიპონ სიმბუნის" სიტყვით, იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წრეებს მიაჩნიათ, რომ „ეკონომიური და სხვა პრობლემები სრულებით არ არის გადაჭრილი".

## ამერიკის შეერთებული შტატების შტაბების უფროსთა გაერთიანებული ჯგუფის თავმჯდომარე და საზღვაო მინისტრი თურქეთში

ანკარა, 11 ნოემბერი. (საქდესი). როგორც ანატოლიის სააგენტო იუწყება, გუშინ ანკარაში ჩამოვიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების შტაბების უფროსთა გაერთიანებული ჯგუფის თავმჯდომარე რედფორდი და ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო მინისტრი ტომასი.

როგორც ანკარის გაზეთი „აქშამ პოსტასი" იუწყება, ანკარაში ტომასის მოლაპარაკებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. ამ მოლაპარაკების მთავარი თემა იქნება ისკენდერუნში სამხედრო-საზღვაო ბაზის გაძლიერებისა და ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის სამხედრო-საზღვაო ძალების უშუალო გამგებლობაში ამ ბაზის გადაცემის საკითხი. განხილულ იქნება აგრეთვე ის საკითხი, რომ თურქეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტი გააძლიერონ სამხედრო ხომალდებით, რომლებსაც მიაწვდიან 1955 წელს ამერიკის დახმარების ანგარიშში.

# სპორტის ამბები

## საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი ბელგრადში

ბელგრადი, 11 ნოემბერი. (საქდესი). გუშინ საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე ბელგრადში გათამაშდა მე-17 ტური, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საპრიზო ადგილების განაწილებისათვის. ტურის ყველა პარტია მწვავე, დაძაბული ბრძოლით მიმდინარეობდა. შვეიცარიელმა ოსტატმა ნიევერჰელტმა დებიუტში შეცდომა დაუშვა, რაც ჩინებულად გამოიყენა მისმა მოწინააღმდეგემ საერთაშორისო ოსტატმა მატანოვიჩმა და პარტია 49-ე სვლაზე მოიგო.

დღეს პეტროსიანმა დაამარცხა ოსტატი ჩერნიაკი (ისრაელი).

ყაიმით დამთავრდა პირც-ბარცას, ტრიფუნოვიჩ-რაბარის, ივკოვ-იოპენის პარტიები. გლიგორიჩმა მოუგო პორეკას, ნედელკოვიჩმა-თაიმანოვიჩს.

პილნიკ-ვეიდის, ჯურაშევიჩ-კარაკლაიჩის პარტიები გადადებულია.

მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია ტურნირის ლიდერის — საბჭოთა გროსმაისტერ ბრონშტეინის პარტიამ, რომელიც თეთრებით თამაშობდა მილიჩის წინააღმდეგ. დაძაბული ბრძოლის შემდეგ მილიჩმა 41-ე სვლაზე თავი დამარცხებულად ცნო.

## ლიბანში მყოფი საბჭოთა სასპორტო დელეგაციის წევრების დაჯილდოება

ბეირუთი, 11 ნოემბერი. (საქდესი). დღეს ლიბანის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ქამილ შამუნმა „ლიბანის კედარის" ეროვნული ორდენით დააჯილდოვა საზოგადოება „ტორპედოს" ფეხბურთელთა საბჭოთა სასპორტო დელეგაციის ხელმძღვანელი ზაიცევი და დელეგაციის ხელმძღვანელის მოადგილე გორშკოვი.

პრეზიდენტმა მათ პირადად გადასცა ლიბანის ორდენები და თქვა: თქვენი სახით მე დავაჯილდოებ საბჭოთა ფეხბურთელებს, რომლებიც ლიბანში იყვნენ. ჩვენ გვსურს საბჭოთა სპორტსმენების გუნდები ლიბანში ყოველ სპორტულ სეზონში ვნახოთ.

ორდენების გადაცემას დაესწრო სსრ კავშირის დესპანი ლიბანში ვ. ა. ბელიაევი.

## რადისტების საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება

სსრ კავშირის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტა მოაწყოს 18-დან 26 ნოემბრამდე ლენინგრადში რადისტების საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა კავშირის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის გუნდები.

სტუმრად მოელიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენებს.

გუნდები ერთმანეთს შეეცილებიან პირველობას რადიოგრამების მიღებისა და გადაცემის სიჩქარესა და სიზუსტეში. (საქდესი).

## ახალი რეკორდი

საქართველოს 1954 წლის ჩემპიონატი მარათონულ რბენაში ახალი წარმატებით აღინიშნა. ეს ასპარეზობა 13 სპორტსმენის მონაწილეობით გაიმართა სოხუმში. მანძილი უდრიდა 42 კილომეტრსა და 195 მეტრს. დისტანცია დაფარა თერთმეტმა მონაწილემ.

შეჯიბრებაში გაიმარჯვა ვ. ზახაროვმა (სოხუმი), რომელმაც მანძილი გაირბინა 2 საათში, 43 წუთსა და 45 წამში და საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა. მეორე ადგილზეა ვ. პოზნარი (თბილისი), მესამეზე — ი. უშაკოვი (თბილისი).

გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზეა თბილისის სპორტსმენთა კოლექტივი.

## ა. ჟორდანია — „დინამოს" მწვრთნელი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და საქართველოს სპორტული საზოგადოება „დინამოს" საბჭოს გადაწყვეტილებით სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ჟორდანია დანიშნულია თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის უფროს მწვრთნელად. მეორე მწვრთნელად გუნდში რჩება მ. მინაევი. გ. გაგუა გადაყვანილია ნორჩ დინამოელთა სკოლის უფროსად.

ეროვნული ბიბლიოთეკა



აფხაზეთის ასსრ. გუდაუთის ახლოს მთავრდება კალმახის დიდი მეურნეობის მშენებლობა. მეურნეობა მოაშენებს კალმახს და მიაწვდის მას შავი ზღვის სანაპიროს კურორტებს.
სურათზე: კალმახის მეურნეობის მშენებლობის საერთო ხედი.
ფოტო ღ. რიაპასოვისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

## 1.600 ცენტნერი თევზი თბილისის მოსახლეობას

თბილისის თევზის ქარხანას სარეწები აქვს ტაბაწყურის, ჯანდარის, სალთის ტბებზე, წალკის წყალსაცავზე, მდინარეებზე: მტკვარზე, ხრამზე და დებედაჩაიზე. წელს აქ 10 თვეში დაჭერილია 1.622 ცენტნერი მაღალხარისხოვანი თევზი — კობრი, ქაპალა (რიაპუშკა), ხრამული, კალმახი, ლოქო და სხვ. აქედან დედაქალაქის მოსახლეობამ მარტო ოქტომბერში მიიღო 312, ხოლო ნოემბრის ათ დღეში 81 ცენტნერი ახალი თევზი. წლიური გეგმა შესრულებულია 7 ნოემბრისათვის. წლის ბოლომდე თბილისის მოსახლეობა კიდევ მიიღებს 200 ცენტნერამდე ახალ თევზს.

წელს პირველად მოეწყო თევზჭერა ხრამის წყალსაცავში, სადაც დაჭერილია 260 ცენტნერი კობრი. საცდელი თევზჭერა წელს პირველად განხორციელდა აგრეთვე „თბილისის ზღვაში", რასაც კარგი შედეგი მოჰყვა.

წარჩინებულად იმუშავეს ი. ორლოვის, პ. ძიობას, ა. ხანაზაროვის, ხ. ციციკაშვილისა და მეთევზეთა სხვა ბრიგადებმა.

## სასურსათო მაღაზია წყალტუბოში

კურორტ წყალტუბოს სავაჭრო ქსელს შეემატა კიდევ ერთი შესანიშნავი შენობა — სასურსათო საქონლის მაღაზია, რომელიც აგებულია არქიტექტორ გ. ფოცხიშვილის პროექტით და ერთ-ერთი უდიდესია რესპუბლიკაში. მარტო მომხმარებელთა მისაღებ დარბაზს 300-მდე კვადრატული მეტრი უკავია. შენობა მთლიანად მოპირკეთებულია ეკლარის ქვით და მოჩუქურთმებულია ქართული ორნამენტით. შიდა კედლები და ნაწილები მხატვრულად გაფორმებულია ძვირფასი ხის მასალით.

მაღაზიას აქვს ხორცის, თევზეულის, რძისა და საკონდიტრო ნაწარმის, პურ-ფუნთუშეულის, გამაგრილებელი წყლების სექციები, რომლებიც უზრუნველყოფილი არიან მაცივრებითა და საწყობებით. დამხმარე სათავსოებში, რომელთა რიცხვი 15-ს აღწევს, წარმოებს ნახევარფაბრიკატების — კატლეტის, ძეხვეულის, ღვეზელის და სხვ. დამზადება. აქვე დგას მძლავრი კომპრესორი, რომელიც აცივებს მალფუჭებადი პროდუქტების შესანახავ კამერებს. მომსახურე პერსონალისათვის მოწყობილია წითელი კუთხე, დასასვენებელი ოთახი, საბაზანო.

მშენებლობაზე 1.300 ათასი მანეთი დაიხარჯა.

## მხატვრული თვითმოქმედების VIII რესპუბლიკური ოლიმპიადა

მხატვრული თვითმოქმედების VIII რესპუბლიკური ოლიმპიადის მომწყობი საორგანიზაციო კომიტეტის გადაწყვეტილებით მხატვრული თვითმოქმედების VIII რესპუბლიკური ოლიმპიადა დაიწყება მიმდინარე წლის 23 ნოემბერს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის შენობაში.

ოლიმპიადა ხუთ დღეს გასტანს. (საქდესი).

## სოფლების რადიოფიკაცია

ოჩამჩირე. („კომუნისტის" კორ.). წარმატებით მიმდინარეობს ოჩამჩირის რაიონის საკოლმეურნეო სოფლების რადიოფიკაცია. რაიონის 600 კოლმეურნის ოჯახში უკვე დადგმულია რადიოწერტილები. ახლახან დამთავრდა სოფელ ახალი კინდღის კოლმეურნეობა „წინსვლის" წევრთა 150 სახლში რადიომოწყობილობის დადგმა. სოფელ კინდღის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობაში 50 ოჯახში დაიდგა რადიოწერტილები.

რადიოსატრანსლაციო ქსელი გაყვანილია სოფელ არაგიჩის შაუმიანის, სოფელ ახალდაბის ლესელიძის სახელობის კოლმეურნეობებში, კინდღის ჩაის ფაბრიკაში, მოქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში და სხვ.

მიმდინარე წლის ბოლოს რაიონში სულ რადიოფიცირებული იქნება 20-ზე მეტი კოლმეურნეობა.

## მოზარდ მაყურებელთა თეატრში

თბილისის მოზარდ მაყურებელთა ქართულმა თეატრმა 11 ნოემბერს მაყურებლებს უჩვენა ახალი სპექტაკლი — „კრაზანა" ე. ვოინიჩის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით. პიესა დადგა ახალგაზრდა რეჟისორმა ი. კაკულიამ, მხატვრულად გააფორმა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, სტალინური პრემიის ლაურეატმა დ. თავაძემ, მუსიკა დაწერა კომპოზიტორმა პ. ნალბანდიშვილმა.

როლებს ასრულებენ მსახიობები გ. სიხარულიძე, მ. ელენტი, ნ. ხორავა, რ. თავართქილაძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ა. კაჭკაჭიშვილი, ნ. სირბილაძე და სხვები.

დეკემბრის პირველი რიცხვებისათვის თეატრი დასადგმელად ამზადებს ა. გომიაშვილის პიესას „ეს მოხდა მოსკოვში". პიესას დგამს ახალგაზრდა რეჟისორი კ. სურმავა, მხატვრულად აფორმებს შ. ქორქოლაძე, მუსიკას წერს კომპოზიტორი ტ. ბაქრაძე.

## ამინდი

თბილისის ამინდის ბიუროს ცნობით, 14 და 15 ნოემბერს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, ალაგ-ალაგ ხანმოკლე წვიმა, სუსტი ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 2-7, დღისით 19-24 გრადუსი სითბო; მთიან რაიონებში ღამით 0-5, დღისით 10-15 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში ცვალებადი მოღრუბლულობა, დასავლეთ რაიონებში ალაგ-ალაგ ხანმოკლე წვიმა, აღმოსავლეთ რაიონებში მეტწილად უნალექოდ, სუსტი ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 2-7, დღისით 15-20 გრადუსი სითბო; მთიან რაიონებში ღამით 4 გრადუსი ყინვა — 1 გრადუსი სითბო, დღისით 7-12 გრადუსი სითბო.

რედაქტორი ნ. ჯაში.


**დისერტაციების დაცვა**

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი**

30-XI 1954 წ. დღის 3 საათზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად

**გიორგი ვასილის-ძე ფავლენიშვილი**

დაიცავს დისერტაციას თემაზე: „Материалы по изучению хронического огнестрельного остеомиолита длинных трубчатых костей".

7-XII-1954 წ. დღის 3 საათზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად

**იოსებ ილიას-ძე შუშკოვსკი**

დაიცავს დისერტაციას თემაზე: „Хирургические формы бруцеллеза".

დისერტაციების გაცნობა შეიძლება სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (თარხნიშვილის ქუჩა № 2).

**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტი**

27-XI-54 წ. დღის 1 საათზე ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

**დავით იასონის-ძე ხეცურიანი**

დაიცავს დისერტაციას თემაზე: „კოლხური ხოხბის გავრცელება, ბიოლოგია და სამეურნეო მნიშვნელობა".

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ზოოლოგიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (ძერჟინსკის ქ. № 8).

**400-დან 100.000-მდე მანეთის მოგება შეიძლება სახელმწიფო 3% შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციებით**

**1954 წლის 30 ნოემბერს ქალაქ მოსკოვში** შედგება სახელმწიფო 3% შინაგანი მომგებიანი სესხის მოგებათა მორიგი 42-ე ტირაჟი. ტირაჟში გათამაშდება სულ **27.901.200** მანეთის **51.000** მოგება, მათ შორის **50.000, 25.000, 10.000, 5.000, 1.000** და 400-მანეთიანი მოგებანი.

ყოველწლიურად იმართება ამ სესხის 6 ძირითადი ტირაჟი: 30 იანვარს, 30 მარტს, 30 მაისს, 30 ივლისს, 30 სექტემბერს, 30 ნოემბერს და ერთი დამატებითი მოგებათა ტირაჟი — 30 სექტემბერს.

100.000 მანეთიანი მოგება გათამაშდება დამატებით ტირაჟში.

სესხის ობლიგაციებს ყიდიან და თავისუფლად ყიდულობენ შემნახველი სალაროები.

**შეიძინეთ სახელმწიფო 3% შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციები!**

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველო.

**თბილისის სამხატვრო აკადემია** აცხადებს ასპირანტურაში მიღებას შემდეგ სპეციალობებზე: ფერწერა — 1, ქანდაკება — 1.

ასპირანტებად მიიღებიან სათანადო უმაღლესი განათლების მქონე მოქალაქენი არა უმეტეს 40 წლის ასაკისა.

განცხადებების მიღება იწარმოებს თხუთმეტი დღის განმავლობაში დღიდან გამოქვეყნებისა.

განცხადებას უნდა დაერთოს: ნოტარიულად შემოწმებული დიპლომის პირი უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შესახებ (2 ცალად), ანკეტა (2 ცალად), ავტობიოგრაფია (2 ცალად), პოლიტიკური და საქმიანი დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან ან სასწავლებლიდან (2 ცალად), ცნობა მუშაობის სტაჟის შესახებ (თუ ასეთი აქვს), ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, ორი შემოწმებული ფოტოსურათი და საბუთი სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების შესახებ.

აღნიშნულ სპეციალობებზე შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ შემოქმედებითი მხატვრული ნაწარმოებიც.

გამოცდები იწარმოებს სპეციალურ დისციპლინებში, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებსა და ერთ-ერთ უცხო ენაში.

**ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი**

სეზონის გახსნა

16 ნოემბერს

ზ. ფალიაშვილი

**აბესალომ და ეთერი**

ოპერა 4 მოქმედებად

17 ნოემბერს

ა. ბალანჩივაძე

**მთების გული**

ბალეტი 3 მოქმედებად და 4 სურათად, სსრ კავშირის სახალხო არტისტის, სტალინური პრემიის ლაურეატის ვ. ჭაბუკიანის მონაწილეობით.

18 ნოემბერს

პ. ჩაიკოვსკი

**ევგენი ონეგინი**

ოპერა 3 მოქმედებად და 7 სურათად.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ბილეთები იყიდება.

**თბილისის სახელმწიფო ცირკი**

დღეს

ახალი პროგრამა

**ბოშათა**

საცირკო ჯგუფი

**„ყურძნის დღესასწაულზე"**

სამხატვრო ხელმძღვანელი ი. დ. ბრისლერი და დიდი საცირკო პროგრამა 3 განყოფილებად.

კვირას, 14 ნოემბერს, 2 საბავშვო წარმოდგენა — დღის 12 საათზე და 3 საათზე. საღამოს წარმოდგენის დასაწყისი 8 ს. და 30 წ.

ბილეთები იყიდება სახცირკის სალაროებში. მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე.


მეუღლე ტიტე, დედამთილი ანეტა, მაზლები ალექსანდრე, არჩილ, მულები ელენე, ელისაბედ, რძლები ელისაბედ, თინა ბუკიები, და ირა, სიძე დ. ქორქოლიანი, მამა ერმილე, ძმა შალვა, რძლები ნორა, მარო ჯავახაძეები ოჯახებით იუწყებიან

**მარგალიტა ერმილეს ასულ ჯავახაძე-ბუკიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 13, 14, 15-XI, 7 ს. გამოსვენება 16-XI, 4 ს. ტელეგრაფის ჩიხი № 3.

შვილები ფირუზ, ვარვარა კურცოვები, სიძეები მ. კვანტალიანი, ვ. კანკავა, შვილიშვილები დაგმარა, მანანა, ფრიდონ, დავით, გიორგი იუწყებიან

**ლიდა ალექსანდრეს ასულ კურცოვას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15-XI, 8 ს. გამოსვენება 16-XI, 4 ს. ნიკოლაძის შესახ. № 10.

ქ. თბილისის ლენინის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თანამშრომლები იუწყებიან

**სალომე ქრისტეფორეს ასულ ტყეშელაშვილის**

გარდაცვალებას. გამოსვენება 14-XI, 2 ს. ორჯონიკიძის ქ. № 119.

მეუღლე რახილ, შვილები გიორგი, თენგიზ, ეთერ, ძმისწულები ვასილ, არჩილ, ივანე, რძლები ნინო, ტანია, ნათელა ელერდაშვილები იუწყებიან

**გაბრიელ იოსების-ძე ელერდაშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 13-XI, 8 ს. გამოსვენება 14-XI, 3½ ს. ბინიდან, ლენინის ქ. № 43.

მეუღლე თამარ, შვილი როლანდ, რძალი რუსუდან, შვილიშვილი ნანი კარლოვები, ცოლისდა ო. მურადაშვილი, ცოლისდიშვილები ა. მიქელაშვილი, შ. კუჭუხიძე დედით ნინოთი, მეუღლით ქუქუნათი და შვილით დავითით იუწყებიან

**ვასილ ნიკიტის-ძე კარლოვის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 13-14-XI, 8 ს. გამოსვენება 16-XI, 4 ს. 9 იანვრის ქ. № 14.

მეუღლე მარიამ, ცოლისდები თეო, ოლღა, ცუცა, ცოლისძმისწულები ივანე, რიმა, ტატიანა, ელენე თუთბერიძეები ოჯახებით, ქეთო თუთბერიძე და ნაზი ლამბაშიძე იუწყებიან

**ნიკიფორე ბიჭიას-ძე კლდიაშვილის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 14-XI სოფ. ფუთში (ზესტაფონის რ.).

მეუღლე ოლია, შვილი მედეა, ძმა ნიკოლოზ შუბლაძეები ოჯახებით, და ელენე, სიძე ვლადიმერ ნიკურაძე შვილებით იუწყებიან

**მიხეილ გიორგის-ძე შუბლაძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 13-XI, 8 ს. გამოსვენება 14-XI, 3 ს. თარხნიშვილის ჩიხი № 11.

მეუღლე ოლღა, შვილები გიორგი, ელენე, ქეთო, რძალი ქეთო, სიძეები ი. ფავლენიშვილი, დ. კვაჭანტირაძე, ძმისწულები ალექსი, ნინო უსტიაშვილები ოჯახებით, შვილიშვილები ივერ, ჯენალ, ლულუ იუწყებიან

**ნიკოლოზ ალექსის-ძე უსტიაშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 13-XI, 7 ს. გამოსვენება 14-XI, 2 ს. საქარის ქ. № 14.


რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-08, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურის და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის დირექტორის—3-65-41, სტამბის დირექტორის—3-77-70.

უე 19101 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.